

კარი ერთოსტელი

კოლხეთი
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლება-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუნძული ქართველი



კოლეგი ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ტობად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 58

2020



მთ. რედაქტორი

ნანა ჭირაშაბა

პოეტი, საქართველოს
მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა
საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“-ს
ნამდვილი წევრი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცხალსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-865-6 (58 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრუბის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კონფერენციის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთა-სამცნეომრო კაპადემიის ვიცე-კონფერენციის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შალგუნების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შალგუნების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიგრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შალგუნების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასიკური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე და კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხე-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შალგუნების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროგვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი შვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხევი, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ყელასგან იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მთიული ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპავე, კოეტმა იქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდონინდელი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდლული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიმნიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძမინა დედამიწაზე...


კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულახ ხარაიზვილი

კოეტი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი





„გულიფიად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბნებას.“

ა. პუშკინი

შონასიტებარბის მაბიერ

(გაგრძელება)

სამშობლოს სიყვარული პოეტის შინაგანი მრწამსია. მამულის განახლება და ბედნიერი მომავალი – სიცოცხლის მიზანი.

პოეტს კეთილშობილური სურვილი ასულდგმულებს – სიკვდილამდე და სიკვდილის შემდეგაც მამულში იყოს და იდგეს ბურჯად მისი დიდებისა:

*

„ვით უბადრუები ჟამთა დინება,
წარმავალია
ქეყნად ყოველი
და დრო არ გვრჩება
საკუთარი ბედის გლოვისათვის,
მაგრამ...
მე მტკვრისპირ ვიდგები,
ვით სვეტიცხოველი,
ქართულ მიწიდან ფეხს არ მოვიცვლი“.



ლექსი „მღეროდე გულო“, მანამ დაიწერა, სანამ თბილისში უგუნური ძმათამკვლელი ომი ატყდებოდა, რომელსაც მართლაცდა დამხობილთა და დავრდომილთა უბადრუკი დღეები მოჰყვნენ. პოეტი აღფრთოვანებულია „ბოროტების იმპერიის“ რდვევით და გულში იმედი ჩაესახა, რომ მამადავითის ნაკურთხი ტაბლა ტკბილად შეგვერგებოდა დედის რძესავით. „მღეროდე გულო!“ პოეტი სადღაც მარადისობის ცივ სიჩუმეს შეერთო ვაით! შენც სევდით სავსე დაცალუკათხა და ახლა იცი მიდიხარ საით“ – ამბობს პოეტი.

ვაუა ეგრისელის ლექსი „მღეროდე გულო“ ისტორიაში შევა როგორც გულში იმედჩასახული საქართველოს უცაბედი ამომღერება, რომელსაც დიდი ხნის არსებობა არ აღირსეს გარეშე მტრებმა და მოღალატებმა.

პოეტის რწმენით ეროვნული საქმეები თანამედროვეობის სახელით უნდა კეთდებოდეს. იგი უმღერის ქართველი დედის ხსოვნას ლექსით „ასინეთ“. ლექსი დაწერილია ავტორისათვის დამახასიათებელი ჩვეული ოსტატობით და მკითხველს დიდ ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად მორალურ ნეტარებას განაცდევინებს.

პოეტი ჟინგალის სამარხებში მიძინებულ ცხრამეტი შვილის აღმზრდელ, ძუძუმადლიან ქართველ



დედას – ასინეთ შავერზაშვილს ეფერება, საალერ-სო სიტყვებს არ იშურებს და ეუბნება:

*

„...აღსდეგ!

ზარს დაჰკარ! გამოაღვიძე,

მიძინებული ქართვლის დედები.

ქართველ ვაჟაცში გული არა, მზე და ნაღმი
ძევს –

მიდიელების,

შუმერების,

ძველი ხეთების,

ვართ უდრეველნი, თან მიამიტი,

ზოგჯერ თვით ღმერთთან ვიცით შებმა და
შეჭიდება.

როგორც არასდროს შვილი ცხრამეტი
დღეს, საქართველოს უფრო სჭირდება“.

საქართველოს ქართველ დედათა ძუძუს მადლი
გადაარჩენს – ასეთია რწმენა პოეტისა.

აქ უნებურად მახსენდება ლექსი „ვოისა“, რომე-
ლიც ხალხურ მოვტივზეა აგებული და რასაც აძლი-
ერებს ვაჟა ეგრისეული სახისმეტყველება და
ტყბილხმოვანებას ანიჭებს სასიმდერო სტილი. ეს
ლექსი პატრიოტული სულისკვეთების ლექსია.

*

„ციგ წარსულში მეგულვი, განთებს ჟამის ბულული,

—

გიდგას ფაცხა მეგრული, დარდით გადახურული.
და კანკალებს სიცივე... მტერთან ომი მოიგე-
თვალში შემომციცინებს შენი ტურფა თოლიგე-
ვოისა,
ვოისა,
შენ უხსოვარ დროისა“.

ლექსის შუაგულიდან ოსტატურად შესრულებუ-
ლი ჯვარედინი რითმის სიტბო მომდინარეობს.

აქვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ,
რომ ვაჟა ეგრისელი მარტო მინიატურული ლექსების
ხელოვანი როდია, იგი დიდ ძარღვიან, ტანში ქრუან-
ტელის მომგვრელ შაირებსაც არანაკლები ხელოვნე-
ბით წერს. („გამარჯვების კანტატა“, „შავლებო“,
„ასინეთ“ და სხვ).

„გამარჯვების კანტატას“ აგრძელებს, აღრმა-
ვებს, აფართოებს და ამაღლებს პოეტის ლექსი „სა-
ქართველო“. მის მხოლოდ ერთ ნაწყვეტს შემოგთავა-
ზებოთ:

*

„...სიყვარულს და სითბოს თესავს დღე დწყნარი
და დამე ჩუმი,

წარსულიდან გვითვალთვალებს ცურტაველი და
მერჩულე.

ვარსკვლავს წყვეტს და მთვარეს წუნობს ქარ-
თვლის

ყველა ლამაზმანი



და დიდ რაინდს – რიონს ეტრფის ტანწერწება
ალაზანი“.

ასეთივე ლექსია „ძაბრალე“, რომელიც პუმანიზ-
მისა და კეთილშობილების დიდებულ აპოთეოზად
გვესახება.

პროფესორი აკაკი თოფურია აღნიშნავდა
„სტრიქონებს შორის დარჩენილ არებში ვეოქავს
ყოველი ჭეშმარიტი პოეტის მგრძნობიარე გული, ბუ-
დობს აზრის უხილავი ნაპერწყალი“.

*

„მოდის...

არ მოდის...

და გვწყინდება მზისკენ ყურება

და ჩვენ ყოველდღე ნამცვეც-ნამცვე

ჩვენი სიცოცხლე

მიგვაქს სიკვდილის დასაპურებლად“.

ვაჟა ეგრისელის ლექსი სინათლეა, რომელიც
ასხივოსნებს ყველას და ყველაფერს, რომელსაც
ადამიანის გამაკეთილშობილებელი ძალა შესწევს.

სასწაულებს ახდენს ვაჟა ეგრისელის უსამანო
ფანტაზია. მისი ფიქრი, განცდა და გრძნობა. პოეტის
ლექსი განიცდება როგორც სულის დღესასწაული,
როგორც გულის სინათლე ეროვნული მოწოდების
მქონე შემოქმედის აზრი ისწრაფვის სინათლისაკენ,
რომელიც განთიადთანაა წილნაკარი, რამეთუ:



*

„ჟამს მიმწუხერისას შავი ყორანი,
მთებს გადაუფრენს ფრთებით
სიკვდილის,

შებლს შეიკრავენ კლდეთა ტინები.

ღამე მოზიდავს მთვარეს მშვიდივით,
ცას მნათთა სისხლი დაედინება“.

*

„ალბათ მალე ელვასავით,
როგორც წმინდა სამეული,
ჟამს შეაკრთობს
მზის უკუნი,
რადგან ქართვლის ცა მოელის –
პოეტს,
სულ სხვა საუკუნის“.

დიახ, სულ სხვა საუკუნის პოეტის ლექსი – სი-
ნათლე ადამიანის სულში იხედება და ამოაქვს ძვირ-
ფასი მარგალიტები:

*

„იყო სერობა...

თითქოს წინადდეს –
დიდი სინათლით ოვალებს ვიგსებდით
და შორს, სიჩუმის ფსკერზე ბრწყინავდნენ
ხვიჩავარსკვლავთა საბრძანისები.



ზარს არის ხებდონენ...

არ ჩანდა მრევლი,
ლოცვა ეფინა ირგვლივ ხავერდად,
და შენს თვალებში ჩამდგარი ცრემლი,
მეგონა, უცებ დაგაბრმავებდა,
გადმოგაცქეროდა ცა მნათესავით,
სიმაღლეს ცისას წუხდა ქვეშეთი,
შენ სიხარულის ცრემლებს თესავდი
მე სიყვარულით განუგეშებდი.
ფეხებზე გეცვა მთვარის ქოშები,
თვალებში გედგა ბრწყინვა ოქროთა,
იაგუნდებით და ზარხოშებით –
მზე სიჩუმეში მოჯადოქრობდა,
და დამის ყელზე წითლად ჩამოშლილ –
მამლების ყივილს ისევ ისმენდა,
ჩვენ კი ვიდექით, ვით უდაბნოში
მწყურვალნი, სავსე ოაზისებთან.
ოქროდ ჭედავდა დამე ხვაშიადს,
ბაჯაღლო ოქროდ, ვით ოპიზარი.
ეს იყო სიზმრად...

მაგრამ ცხადშიაც
მეორდებოდა ტკბილი სიზმარი“.

მართლაც, პოეტის ყოველი ლექსი ტკბილი სიზ-
მარივითაა, რომელიც ცხადშიც მეორდება, ყოველი
ლექსი ახალი თავგადასავალია, ახალი ნოველაა,



რომელსაც აქვს ნამდვილი დასაწყისი, როგორც
მშვიდ, მზიან ამინდში ზღვის აბობოქრება და შმაგი
ქარიშხლის მოვარდნა. ცისა და მიწის წაკიდება და
მამლის ყივილით მოვლენილი ახალი დროის სილა-
მაზე. სულის სიღრმიდან იმზირებიან საოცარი ხატ-
სახეები. პოეტი ვაჟა ეგრისელი არასოდეს არ დგას
ერთ ადგილზე. მუდამ მოძრაობს და მისთვისაც მოქ-
ლი ქვეყნიერება ცვალებადია, ახალი, რომელსაც
ახალი პოეტური ფერები სჭირდება.

„კოლხური ფსალმუნებისა“ და „იქმენ ნათელის“
ავტორისათვის თვითშემოქმედებითი აქტი ბრწყინვა-
ლე ასპარეზია საქუთარი იდეალების განმახორციე-
ლებლის ბოლომდე შეცნობისა, ხოლო უფალთან მი-
ახლოების განცდა მისთვის გზაა სულიერი კათარ-
ზისისა და ადამიანად დარჩენისა...

*

„საუკუნეთა ნაპირს ასკდება
და ჩემს ბობოქარ მპერდზე
ხმიანებს,

ზვირთთა კი არა,
ფიქრთა ზვინები.
ქარს მინდობილი ვარ ოკეანე,
თვალებში დედამიწა –
ჩამშტერებია დაჟინებით“.



ბაზაშჩლი ათონს შვაგილებს

პოეზია და სიცოცხლე ვაჟა ეგრისელისათვის განუყოფელი ცნებებია. მას საკუთარი კრედო და იდეალები აქვს. პოეტის გულიდან, როგორც უფლის ხელით მოწნული მზისფერი ბუდიდან, აფრენილი ლექსები ერთ დიდ გუნდად ერთიანდებიან და იქმნება მშვენიერი ციკლი „გაზაფხული“, როგორც სინათლისა და სიცოცხლის უშრეტი წყარო...

ადამიანის სულის უკვდავებას, ადამიანის ფიქრსა და რწმენას ასახავს პოეტის ლექსები, რომლებიც ჩვენი უმშვენიერესი ბუნებისა და მხატვრული გამოცდილების ბედნიერი შერწყმა. პოეტის თამამი თვალი გასაოცრად ჭვრეტს ბუნების თვალწარმტაც მშვენიერებას. სწორედ ბუნების ყველაზე უფრო გამორჩეული დრო – გაზაფხული მისი შემოქმედების ერთ-ერთ უპირველეს თემად იქცა. როგორც მინდვრის ყვავილები და ვარდები შემოიტანო სახლში, ისე შემოაქვს პოეტს ჩვენს სულში ბუნების პირველყოფილი სიტურცე და მისი ლირიკული პერსონაჟიც გაზაფხულის სიყვარულით მოვრალი დაბარბაცებს. ბუნებისა და ადამიანის ურთიერთკავშირი პოეტის გატაცების ძირითადი თემაა და მისი ლირიკული ლექსებიც სიცოცხლის მომნიჭებელი შუქით გვათბობენ, გვეალერსებიან და თაგბრუს გვახვევენ:



*

„ტყის ქრიამულმა,
მთათა სევდამ
და ცის გალობამ,
მდინარისა და ირმის ბდავილმა –
შესძრა მიდამო,
ბუნების ამ დიდმა მაყარმა.
და ცისარტყელამ ბროლის ყელი
კვლავ მოიღერა,
მერე მიწიდან ერთმა ყვავილმა,
გაზაფხული და სიხარული ამოიმდერა“.

აქაა ბუნების გრძნეული სიმღერა. ვაჟა-ფშაველასებური ხედვა ბუნების მოვლენებისა, ცოცხალი, ადამიანური ინტიმური ურთიერთობები, ადამიანსა და ბუნებას ერთმანეთთან რომ აკავშირებს. ადამიანი და ბუნება, ადამიანისა და ბუნების გაუკვდავება, რომელსაც პოეტი გაზაფხულის მეტაფორულ სახეში ხედავს, ნათელი იდეებით ტვირთავს თავის ლირიკულ ქმნილებებს და ძალდაუტანებლად ერთომება და ეხმაურება ჩვენს სულს...

პოეტმა საკუთარი სულის სიღრმეში მოიძია და მოიპოვა დიადი ძალა თავისი ქვექნისა და ხალხის მერმისის რწმენისა და ეს შესანიშნავი პოეტური ხერხებით დაუკავშირა გაზაფხულის მობრძანებას. ამ მხრივ პოეტის გაზაფხულის სიმბოლური სახე იქ-



ცევს ყურადღებას, რომლითაც სიცოცხლისა და უკვდავებისაკენ სწრაფვის ტენდენციას გამოხატავს.

ზაფხული (ძველი ქართულით გაზაფხული) საღრმოო სახელია. „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე (ფრ.64651). ხოლო ცნობილი პროფესორი ტიტე მოსია წერს: „მოსვლაი იქსუ ქრისტესი ვითარც ზაფხული“.

პროფესორი ლუარა სორდია წერილში „გაზაფხულის პოეტური ფორმულა გ.ტაბიძის შემოქმედებაში“ აღნიშნავს: „ადრიანი გაზაფხულის, იმედით, ხარების სიხარულით, ყინულის ლოდების გადნობის მოლოდინით ცხოვრობდა პოეტი და გაზაფხულის სიმღერების უნაზეს მუსიკას გვაგრძნობინებდა მისი პოეზია“.

ვაჟა ეგრისელის პოეზია მახლობელი და გასაგებია თითოეული ქართველისათვის. მისი ლექსები მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულითაა გამობარი და არ მეგულება სხვა ვინმე ისეთი, აუღელვებლად რომ არ შეძლოს ამ ლექსის მოსმენა:

*

„მიდამო მერცხლების ჭიპჭიკით,
ო, ალბათ,
სულ მალე გათბება,
და ათას სიხარულს გვპირდება,
ტყემლების ქათქათა ბაფთები,



ნუშის თეორ მკლავებზე აცრილი კვირტები“

მე მგონია, პოეზიაში ძნელია უფრო უკეთესად გამოიხატოს გაზაფხულის მოვლინების მომხიბვლებლი სურათი. ეს ლექსი ბუნების უმშვენიერესი საგალობელია და პოეტმა თავისი ჯადოსნური კალმის მოსმით ბუნების ფერებს მეტი ელვარება მიანიჭა და ადამიანურ იმედს, ხგალინდელი დღის მოვლინებას გვაჟიარა.

ვაჟა ეგრისელმა გაზაფხული პოეტურ კრედოს დაუკავშირა. დიახ, მისი პოეზია ეს ორი ქვეყნის განსახიერებაა სიცოცხლის დამამკვიდრებელ იდეაში – გაზაფხულში, რომლითაც იწყება სიცოცხლე ამ ქვეყნად. პოეტის ჯადოსნურ გენიას მართლაც ძალუძს დედამიწაზე სიცოცხლის ხე ააშრიალოს და პოეზიის უჩვეულო ყვავილებით გააბრუოს მკითხველი. ვაჟა-ფშაველას შემდეგ არავინ ისე არ მისულა ბუნებასთან, როგორც ვაჟა ეგრისელი და ამიტომაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა ეგრისელის ბუნების ფეხომენი, მისი განუმეორებელი ხილვები და მეტაფორული სახეები თავად დიდი პოეზიაა. პოეტის ლექსები თავიდან ბოლომდე ბუნების იდუმალი მშვენიერებით ბრწყინავს. „ვაჟა ეგრისელის ლექსები ცხოვრებისეულ გზა-ბილიკებს გვინთებენ, თვალსაწიერს გვიფართოებენ, ზოგჯერ შეუცნობელში ჩაგ-



ვახედებენ ხოლმე და მისი შეცნობის სინს შეგვინთვებენ.

პოეზია სიცოცხლეა და მართებულად მიუთო-თებდა დიდი ბელინსკი: „პოეზია უფრო მეტად წარ-მოადგენს სიცოცხლეს, ვიდრე თვით სინამდვილე“.

„მარადიული სიცოცხლით დაჯილდოებული კითხვის – რა არის პოეზია?“ – „ზუსტი და ნანატრი პასუხი“ თვითონ პოეზიაა, ანუ ესა თუ ის პოეტური ქმნილება“.

სინამდვილეში მოწყენაცაა და დარდიც, დიდი ტკივილი გამოწვეული სასურველის დაკარგვით და არდაბრუნებით. პოეზიაში ამის გამოსახატავად ვაჟა ეგრისელი ბუნებაში ეძიებს ადამიანის ადგილს და ჩასძიებია იმ დაფარულს და იდუმალს, რაც მისი შე-მოქმედებისათვის არსებითი და აუცილებელია.

ვაჟა ეგრისელის ლექსი ისევე როგორც ყველა ჭეშმარიტი პოეტისა, მკითხველთან უშუალო კონტაქტებისას ქმნის აბსოლუტურად თავისუფალ შთაგონებას, აქ თითქოს გული დაიგულა, რადგან პოეტის გული ის ტაძარია, რომელიც ნუგეშითა და მოწყალებით გვმსჭვალავს და ჩვენს ფიქრებს, ოცნებებს აყენებს უდიდეს განზომილებათა წინაშე, სულითა და ხორცით გასპერაკებს და გვამზადებს იმ განზომილებათა შეცნობისათვის, რითაც მეოცე საუკუნის ადამიანის ფილოსოფიური აზრი არის შეპყრობილი.



ეგრისელის მიერ შექმნილ სიმბოლურ სამყარო-ში გაზაფხული მშვენიერებისა და სიცოცხლის ემ-ბლემაა. მოვარდნაა ვნებების, გატაცებების, გაზაფ-ხული – მეხის ხმით გვაუწყა პოეტმა და დასრულე-ბული მხატვრული სურათი მოგვცა:

*

„დაირტყეს გულზე ზვავთა მჯიღები
და მიატოვეს ჭიუხიც,

ჩანჩქერებმა და დაიწყვიტეს ყინულის ნერვი.
სიჩუმის ციდან დაცურდა

გები,

მისმა ავმა ხმამ გაბზარა ცის –
გება ქვევრი“.

(„აპრილი მთაში“)

პოეტი ბუნებასთან მიმართებაში ფილოსოფისია, ვიდრე პოეტი. მისი ბუნება ადამიანის განწყობილე-ბის აღეკვატურია და, ასე გვგონია, ვაჟა ეგრისელის ლირიკული პერსონაჟი ბუნებას თითქოს თავისი არ-სებიდან ასხივებს. გაზაფხულის პირველი მახარობე-ლის ია-იას ღიმილით გვესალმება, ჯადოსნური აბ-ლაბუდასაგით ქსოვს საკუთარ ოცნებათა, ფიქრთა და ზრახვათა მსგავს სამყაროს:



*

„ბაღში,

ოქროსფრად დალალდაწნული,
ნორჩი ატმის ხე შემომეფეთა,
შეკრთა უეცრად,
როგორც ქალწული.

თეთრი,

პატარა მხრები აწურა
და ალისფერმა გადაუარა“.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში გაზაფხულის დროს მქაფრდება სიყვარულისა და დიადი გრძნობების ღელვა – ერთდროულად დგება კაუშნისა და სევდის წუთებიც, მაგრამ იწყება სიყვარულით თრობა და ხანძარივით აბობოქრებული გული ატორტმანებს სისხლს, რომელიც მარადიულად ჩქევს, როგორც გრძნეული ძალა სიცოცხლის დამკვიდრებისა:

*

„გულისხეთქებით ჩამორბიან ნაკადულები,
სივრცეს აფხიზლებს
გრიალი მეხთა,
მოჰყავთ სიმწვანე და გაზაფხული.
წუხს სილამაზე

ჯერ არნახული,
სულთმობრძავ თოვლის ქათქათა ფერხთით“.



გაზაფხულის სილამაზით აღფროვანებული პოეტი ქმნის მეტაფორების სამეფოს და უცნაური ფერებით აჭრელებულ სამყაროში იდუმალი და სასწაული ძალის წყალობით მუდამ ამაღელვებელი ფანგაზის წიაღში ეძებს ჩვენთვის უცნობს, მაგრამ მაინც მახლობელს და მთელი არსებით გვაუწყებს ცისკრის მოვლინებას, რომელიც სამუდამოდ ენთება ჩვენს სულში, როგორც კეთილშობილების, რაინდობის, სათხოებისა და სიყვარულის სიმბოლო.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში გაზაფხული ბუნების საჩუქარია, ღმერთის ნაბოძებია, გაშლილი მარჯვენა ხელის გულია, შუბლზე მიდებული – მაგიური ლოცვის უტყუარი პოზა... პოეტმა თავისი დაბადებაც გაზაფხულის სურათის აღწერით გვამცნო და ნამდვილი პოეზიის ძლევამოსილ სითბოს გვაზიარა:

*

„მზის შესაყრელად მოდიოდა გუნდი
მთიებთა,
ცის და სინაოლის ჩუმი ღაღადით.
იდგა სიცოცხლე და სიხარული.
მთვარის ჩქერალში

სივრცეები ხელპირს
იბანდნენ:
როს გამთენის ვარსკევლავების ატყდა ქდარუნი,
მე დავიბადე!“



„რაც მხატვრულია, იგი მრავალსახეობრივია და ნიუტონის ბინომივითა და არქიმედეს კანონივით ზუსტად ვერ ჩამოყალიბდება. მხატვრული მრავალსახეობა მიიღწევა ეპითეტების, შედარებებისა და მეტაფორების საშუალებით, გამდიდრებით სათქმელისა და მისი განსურათებისა. ეპითეტი, შედარება და მეტაფორა – ეს არის მხატვრული სახე, ვიწრო გაგებით, ხოლო განსურათება არის იგივე მხატვრული სახე ფართო გაგებით“.

ციალა მესხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – სახწაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



* * *

ცას და მიწას შუა გაბმულია
სიძები – წვიმის
და უხილავი გაკრავს ელვას,
ელვაა-ხემი.
მე კი ბილიკით გაყოფილს ორად,
ოცი წელია რომ ვუცქერი –
მოწყენილ გორაკს,
სადაც გულგრილად მელოდება
მშობელი ჩემი.

1985

* * *

გამოწყობილი ცისფერ ჩოხაში
 თავს მაწონებენ
 ქედები ლიხის
 და გზა და ფიქრი დასავლით ილტვის.
 გხედავ: პატარა მდინარეში,
 ვით ყვინთავს იხვი,
 და ჩემთვის ვფიქრობ,
 ალბათ წყალში
 დაეძებს სიკვდილს.

1984



ვიგნი „მოლოდინი“

მნათნი ინთებიან შორი-შორად

და ღრუბელი

წვერს იღებავს ინით.

ცივა,

მე კი მოგონებით ვთბები.

ღმერთო ჩემო!

მეცხრე ცაში ფრენით,

ჩემს სიხარულს დაედალა ფრთები.

1988



* * *

ბატებს ყაყანით უნდათ დაღუპვას

გადაარჩინონ დამე

რომივით.

სიკრცეს მგლისფერი ისევ ედება

და ბნელს წუთები

კვლავ აქვს დათვლილი.

შორს,

დაწინწელელი

მნათობების სისხლის

წვეთებით,

მთვარე ჰკიდია ქრისტეს კვართივით.

1968



მესხეთ-ჯაგახეთი

გარდასულ დღეებს ჭიხვინებდნენ
ყალყზე შემდგარნი,
მთები და მწუხრი
ბარად მოჰქონდათ,
უფრიალებდათ ნისლში ფაფარი
და ბილიკები აჩნდათ,
როგორც ნამათრახალი
თათარ-მონგოლთა.

1973



პოლიტიკი თეორი

შავი ზღვისკარად,
კოლხეთში ვიშვი
და ქარიშხლთან სიმღერებს ვჩემობ,
რადგან მოწყალედ
ისევ მყავს ღმერთი.
ვითარც შემეძლო,
შენთვის მოვჭერ,
მამულო ჩემო, –
– აკა, ჩემი კოლხური თეორი.

1968



* * *

ხანჯლებს მირჭობენ წარმოქცეულს
სასაფლაოზე,
როგორც ქისტები ზვიადაურს,
დღეები მკლავენ,
და მე გყვირივარ: არ მომკვდარა,
არა და არა!
თუმც ნათლად ვნახე:
მოგვხია მკლავი
და ჩაგიხუტა სიკვდილმა წყნარად.

1966



სანამ

სანამ დმერთი ნათელს დილის
 მიგზავნის ვით
 დედის წერილს,
 აღარ მჯერა მე სიკვდილის,
 აღარ მჯერა ბედისწერის.
 ცა როცა მზეს დამიმალავს,
 შენი სილამაზით
 მთვრალი,
 ო, მამულო!
 იქ მიმავალს,
 აქეთ დამრჩება თვალი.

1964



ზვარბდნენ ჭლები

ზვაობდნენ წლები...
ბუღრაობდნენ
საუკუნენი,
მაგრამ ქართლის სულს მფარველობდა
თვით ზეციერი,
და ჩემი გრემი,
ოშკი,
საფარა,
შადიმანივით ჟამმა ცბიერმა
წარსულის მტვერით,
ვერ იქნა და
ვედარ დაფარა...

1961



ხორგის დამბაზე

როდესაც დამე შავი ჩოხა-ახალუხიდან
ამოსწევს მთვარეს,
ვითრცა ყამას,
მაშინ დამბაზე მჯდარი წყლის პირას,
გხედავ ღრმად მოხუცს
ჩემს საწყალ მამას,
ხსოვნით დახურულ წარსულიდან
მოწყენით მზირალს.

1966



* * *

პალელუია!..

ენაცვლება მწუხრი
განთიადს.

მიგალ...

და ვიცი თუ რა მომელის.
დღეთა სიმღერა მიჩანს გედებად
და როცა ჩემთვის დაღამდება
სამარადისოდ,
წამსვე უცნობი –
დღე გათენდება.

1981



* * *

განათდა სივრცე –

მიგვანიშნა

ყოფნა უფალმა,

მერე არყოფნის აიფარა მტკერი და ნისლი.

ზღვის მკერდზე შიშის აენთო ბორცვი.

და... ზეციური

მთვარის მშვილდით

ელგარე ისრებს,

წვიმის ქურდ ღრუბლებს სტყორცნის

და სტყორცნის.


1976



* * *

ვით ლოკოკინა დაღოღავს ხსოვნა,
არყოფნის გზაზე
დაწევია იძპოს, ოფა,
გადავიწყება დადის ჩუმი და შემპარავი.
თუ ახსოვს,
ახსოვს აქ ჩუმი ყოფნა
ამ ჭანჭებს და
ჭაობს,
და სხვას არავის.

1977



ဇန်နဝါရီလ ၁၉၀၈ ခုနှစ်၊ ၁၇ ဧပြီ

ဘုရားလမာသော မိုး –

သိမ်းမြတ် ပို့ဆောင်ရွက်တော်၊
– ဂျော်လှိုင်ပါလဲ?

မြတ် ပို့ဆောင်ရွက်၊

ဖျော်လှိုင်ပါလဲ

မြတ် ပို့ဆောင်ရွက်၊

တွေ့မြင် မြတ် ပို့ဆောင်ရွက်

လောက်လွှာ ပို့ဆောင်ရွက်

တွေ့မြင် မြတ် ပို့ဆောင်ရွက်၊

မြတ် ပို့ဆောင်ရွက် ပို့ဆောင်ရွက်၊

မြတ် ပို့ဆောင်ရွက် ပို့ဆောင်ရွက်

မြတ် ပို့ဆောင်ရွက် ပို့ဆောင်ရွက်

မြတ် ပို့ဆောင်ရွက် ပို့ဆောင်ရွက် ပို့ဆောင်ရွက်

1961

306 იცის...

მიყუდებოდა ბექობზე მდგარ ხეს
უზრუნველად,
ვიფიქრე,
ალბათ მიღამოს ზვერავს,
მოხეტიალე,
უთვისტომო,
უდაბნოს მწირი.

ვნახე,
დვთისმოსავს, ცად მიეპყრო
ელამი მზერა,
ვინ იცის,
რისი თქმა უნდოდა,
დაელო პირი.

1974



მოზღვეული სიხარული

ზეგსმა კი არა,
სიხარულის ლეგა არწივმა
მეც გამიტაცა ვით განიმედე,
მერე ცივი ფრთა გამკრა რატომდაც,
წამსვე წუხილი მომეახლა,
ვითარც იმედი,
ფოლადის მხრებზე ხელი დამკრა
და მიმატოვა.

1978



და ახლა მტკგარი...

კრწანისის ველზე –
მწუხარებად
დგას ობელისკი
და არაგველთა სისხლისფერი
ყაყაჩო ჰყვავის.

ქამი კი ცაზე –
მზის ცალ ბორბალს
კვლავ მიაგორებს...
და ახლა მტკგარი,
მდგრიე და შავი,
ჩემი სამშობლოს –
ბედუკუდმართ წარსულს
მაგონებს.

1961

სოფელში

მოიპარება ბინდი

და ველს –

მწუხარისფრად ხატავს

ზოგან შავფერსაც აღვრის...

ხეზე ისევ ზის კატა,

და ისევ უმზერს

ძაღლი.

1959



თჟთვები

მოშიებიათ აბრეშუმი
უმწეო ჭიებს
და მოხუც დედას მიაქვს მათთვის
ფოთლების ფუთა.
უყვარს?
კი უყვარს,
კაცმა რომ პკითხოს,
და მოშრიალე პატარა თუთებს,
ასე პგონია,
აბრეშუმი აცვიათ თითქოს.

1967



არსად არა სჩანს ის ღვთაებრივი

დელავს ნაპირი უნაპირობის,
 დღეს წაულეკავს
 დამის ჯებირი,
 ირწევა მზისა და მთვარის სასწორი
 და არსად არ ჩანს, –
 ის ღვთაებრივი,
 ცას და მიწას რომ ათანასწორებს.

1963



ქართველი

წყალსა და მიწას –
ჩემი სისხლის
ღვარი ერია,
მებრძოდა ყველა,
სატრაპია და იმპერია.
და მაინც მოველ, დღემდის მოველ...
მაგრამ ვწუხევარ ვერ ვუპატრონე –
ჩემს ამაყ შვილებს:
მოსხებს,
მარებს,
მოსინიკებს და მაკრონებს.

1974



შენი ნათელი შემომაფინე

შენი ნათელი შემომაფინე

და ნატვრის ცრემლებით

მომბანე იარა,

ჩემს სიმარტოვეში რადგანაც მოხვედი.

თორემ ცისიერო,

სამოთხე კი არა,

ზოგ-ზოგებს ჩემთვის...

შურთ ჯოჯოხეთი.

1960



300) რუძნადინი

დამის უდრანში ღრეობენ მთები
და ჩანჩქერები
უდგანან მწდეთა.
მოდის ღრუბლები ელვა-ჭექით,
ვით რუჯნადინი.
ტყე გარინდულა...
სიჩუმეში აქა-იქ წვეთავს,
ფრთოსანთა სტვენა
და ხმა ნადირის.

1971



ՃՇԹԱՐՁՐ

Մյօծ քայրժնոծիլո և դշման լաճացեծո,
մտա մշլացնե ծոլոյնե
տռկոցոտ ոեցեցե

ու թիյ ամոցու –

քյամովու
նառյլո անրո.

յե զալացանո յո առ արու,
առամեց, ըոեցե
յոնցշրոանո յցու ձերանցո
ացուա Ծանից.

1972



ორმოცი

სიცოცხლის ყანაში მედგა –
დარდით დახურული
ქოხი,
ვთესდი და...
არა ვფიქრობდი მკაზე,
რომ უცებ,
მოულოდნელობის ჯოხი,
სიბერებ მომიკაპუნა კარზე.

1981



ბროჭეულის ხე

კისრისტეოთ,

კვლავ გარბიან

წლები

და მოხუც პაპას ვით არ უკვირდეს,

რომ გზისპირს დამდგარ

ახალგაზრდა

ბროწეულის

ხეს

თვისი ნაყოფი ჩიბუხივით უჭირავს ხელში

და ცეცხლ

უკიდებს.

1969



გაზაფხულის შვავილი

ტყის ქრიამულმა,
მთათა სევდამ
და ცის გალობამ,
მდინარისა და ირმის ბლაგილმა
შესძრა მიდამო,
ბუნების ამ დიდმა მაყარმა
და ცისარტყელამ ბროლის ყელი
კვლავ მოიღერა,
მერე მიწიდან ერთმა ყვავილმა
გაზაფხული და სიხარული
ამოიმღერა.

1967



მონუმენტი ქამი

მიღის და მიღის

მოხუცი ქამი,

მზისა და მთვარის

ყავარჯნებს დაყრდნობილი,

გადაიარა ცხრა მთა.

თან ახლავს დღე-დამქ,

ვით ქრისტეს

დობილი,

წმინდა მარიამი და მართა.

1964



ჩვენ აღარ გვჯერა

ჩვენ აღარ გვჯერა,
რომ სიცოცხლეს
ადარ ვუყვარვართ
და სიხარულის ცრემლები გვცვივა.
სიკვდილს ნამდვილად ვუყვარვართ და...
ჩვენ მუდამ ვუშლით.
როცა სიცოცხლე ხელსა გვკრავს ცივად,
წამსვე სიკვდილი
ჩაგვიკრავს გულში.

1963



ზღვა და მთა

ზღვის უზარმაზარ სადარბაზოსთან
კვლავ მედიდურად
დგანან ტინები
ქარი არხევს და მნათობი
ტალღებში ცვიგა.
ზღვა ხელებს უწვდის, —
მთას საშველად
გპოტინება,
მთა არ იკარებს და უმზერს ცივად.

1961



ლამეშლ გზაზე

არც კაცი,
არც მხეცი
და არც ფრინველი...
ღრუბლები,
მთვარის მოშაო ყუა.
ძახილი,
არსით ხმა!
მიდამო ყრუ არი.
კრუუუ!.. კრუა!..
კრუუუ!.. კრუა!..
მხოლოდ კრუალების კრუალი.

1982



შამი მზისა და მთვარის თვალება

დღე-დამის ფრთებით მოიფრთოსნება
ჟამი მზისა და
მთვარის თვალება.

ყოფნა,

არყოფნით
რომ გაამხოლოს
და სამუდამოდ რომ დაგვარწმუნოს,
სიცოცხლე –
სიკვდილის
ექოა მხოლოდ.

1967



გარდაშვალობა

ბნელ სენაკებში შავითმოსილნი,
მზისა და მთვარის
მილეულ შუქზე –
დაფუსფუსობენ პერგამენტებს წმინდა
გამები.

სად არის ღმერთი!

ვერა და ვერა,
სიკვდილის ლახტი მათთაც ვერ აცდა,
ვინაც იგგემა სული და ხორცი –
სირიასა და პალესტინას,
ცურტავს და ხანძთას,
მცხეთას და ათონს – მარხვით და
ლოცვით.

1967

ადამიანებო, იყავით ფხილად!

ადამიანებო, იყავით ფხილად!
 ბრმა ბედისწერას,
 თვალხილლნი,
 ნუდარა მისდევთ,
 თორემ,
 ო, თორემ ვერ გვიშველის
 ბუდა და ქრისტე
 წვენ ახლა ისეთ ეპოქაში და დროში
 ვცხოვრობთ
 წამიც და... სანთლით საძებარი გვექნება
 სორო.

.....

ადამიანებო, იყავით ფხილად!

1958

საჭყალი სული

თვალბედითსა და გულის განმგმირავ
მზერას ვერა და
ვედარ იცილებს
ამაყი სიკვდილის წინ დამდგარი.
საწყალი სული
უნუგეშოდ
ცას შესციცინებს,
ცოდვილი მიწის –
მარადიული ბინადარი.

1971



სიყვარულით მსურს აგანთო

სიყვარულით მსურს აგანთო,
რაც ჩამქრალი კერებია...

ჩემო ფიქრის ნეკერო, –
ამ საწუთროს

გინდა გამოკერებია,
მე რომ გამოვეკერო.

1961



ლადო და მირზა

„რუსთაველის პროსპექტზე ხევიალი
ნუ მომიშალოს ღმრთმა!“

კითარც ძალუძდათ

პოეზიის რაში გახედნეს,
სიკვდილის რაშს ვერ დაუჭირეს

შავი სადავე,
ეძნელებათ ბიჭებს დიდ მთებში
გაზრდილთ
და... მომრიმარი ლადო
და მირზა

ახსოეს თბილისს და...

რუსთაველსი გამზირს –
ცხადი უეცრად გადაექცა სიზმრად.

1969

სიცოცხლის კართან

სიცოცხლის კართან –

მსხვერპლს უდარაჯებს,

ნაკვერჩხალივით

უელავს თვალი,

დაფჩქნილი აქვს ცასავით პირი,


და, პა,

სიკვდილმა

ჩაასო ბრჭყალი, –

ყრმა არ შობილა,

და უკვე ტირის.



ორი ბორცვი

თვალები – მზეა,
და სხივებად
გნება მოცვივა,
წამწამები კი სიყვარულის ნათელს
არჩევენ
და იქმე,
ჩემი მომლოდინე
ორი ბორცვია,
სადაც ყოველთვის –
ჩუმად ვავდები
და ვიმარხები.

1961



სიმგარულმა მიძღოს და მიყვანს

დასაბამიდან დასასრულამდე
მსურს სიყვარულის
ნერგებს რომ ვრგავდე
და სიხარულმა მიძმოს და მიყმოს...
თუ სიცოცხლეა,
სიცოცხლეს ჰგავდეს,
თუ სიკვდილია,
სიკვდილი იყოს.

1989



ციხე და ციტადელი

ღმერთმა ნუ ქნას და,
სამშობლოს მთა
ნისლს თუ მოიხვევს,
და თუ ღრუბელმა,
იმედის მზე
ციო განდევნა,
მაშინ ზურაბი,
მამულის მტერს
დახვდება ციხედ,
ხოლო დაჩი კი –
ციტადელად.

1986

8-15 მარტი, 1983 ღელი

წყალწალებული,
იმედის ხავსს
ვებდაუჭები,
პირველად ვიგრძენი სიკვდილის თარეში.
მიწას კი უხმო
ბლავილი ჩაესმის...
მმასა და დედას ვაწვენ სამარეში,
დღე არის ჩემთვის
შაგზე უშაგესი

1983



დრო არსად მიღის

დრო არსად მიღის,

და დღეები

ისევ ზვაობენ,

ლოცვა-ვედრებით იცრიცება დამის

კედლები

და ჩვენ მოკვდავნი,

მაინც ვქრებით,

თითქოს ბინდი ვართ.

დრო არ ბერდება,

ეს ჩვენ ვბერდებით,

დრო არსად მიღის,

ეს ჩვენ მივდივართ...

1961



როგორც ნიბლია

მზე დასავლეთით მიინისლება
და ნუ მიწოდებო
ქუდ-ბედ – იღბლიანს,
ცვივა ნაყოფი იმედის კენკრას.
გზივარ ცხოვრების გალიაში,
როგორც ნიბლია
და ჩემს დარჩენილ
დღეთა მარცვალს
კკენკავ და კკენკავ.

1977



პირიმზე

არაგვს გაღმა და არაგვს გამოღმა,
ორი შავი კლდე
გარინდებულა,
როგორც სქილა და როგორც ქარიბდა.
და ეშინია,
ნაპრალზე, რომ
ფეხი დაუსხლტეს
პირიმზეს,
როცა მზეს პირს არიდებს.

1984



სიყვარულის აშეციონზე

ქვეყნად,

ყოველთვის —

მიტომ მოდის უბედურება,

რომ სიცოცხლის და სიყვარულის

აუცქიონზე,

რაც შეიძლება,

ბედნიერების

გაზარდოს ფასი.

1987



გზა შორეული

დავიბადებით...

და გზა გვიდევს ძნელი
და შორი,

მივალთ...

გვაწვება მძიმე ტვირთად
და გვხრის ცოდვები,
არ ვიცი რატომ,
სურთ რომ ჩვენზე
ჯავრი იყაროს.
სიკვდილი რაა,
ზოგჯერ სიკვდილს
ჩვენ ვეცოდებით
და გვეგებება,
რომ მოკლეზე გადაგვიყვანოს.

1972

ქართველია ქართველს უადევობა

— არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა, —
ქართველმა ქართველს უანდერძა
და დაუბარა.

მომკვდარა მაგრამ,
ოწმენა მკვდარი
არვის უხილავს.

ჯორჯიაშვილმა
გრიზნოვს რომ სტყორცნა
ყუმბარა,
დღესაც ჩაესმის საქართველოს მისი
ქუხილი.

1967



ასეა ხგეღრი

მე ვუფრთხილდები სინდისს და ნამუსს,
გით ქამარ-ხანჯალს –

დანატოვარს

მამა-პაპათა.

ჩემი სამშობლოს სიყვარულის მიღვია
ნაღმი

ბალიშის ნაცვლად თავსასთუმალთან.

მერე მოგვდები ლაფაროსთან

გითარცა ძაღლი,

ასე ხვედრი,

წუთისოფლის ყველა სტუმართა.

1968



სეულგა ღამით

გარსპოლავები, სამოსახლოს
ქარმა უცებ
პვლავ აყარა
და მერე ცამ,
იმ უკბილო დედაბერმა,
მის მოხუც ქმარს –
საწყალ მიწას,
მსხვილი კაგლის ტოლა სეტყვა,
ვით ქოქოლა დააყარა.



ტრიპტიქი

1

პაჟ, რამდენი დრო გასულა
და მაინც ქონავს
შენგან დაღვრილი
სისხლის დელგმა
ვარდებს და ტიტებს,
კეისარ ტიტე!

2

თავისუფლების კოშკს აგებდი
და ისვენებდი,
რა გინდა მეტი,
სევერე სეპტიმ!

3

ცეცხლის მახვილით გადიქროლე
ცა და ხმელეთი,
აწ ჟამმა გდიოს...
კასიუს დიოს!

1968

გაზაფხული მთაში

გულისხეოქებით ჩამორბიან ნაკადულები,
 სივრცეს აფხიზლებს
 გრიალი მეტა —
 მოჰყავთ სიმწვანე და გაზაფხული,
 წუხს სილამაზე —
 ჯერარნახული,
 სულთმობრძავ თოვლის —
 ქათქათა ფერხთით.

1926



9 მარტი 1956 წელი,
9 აპრილი 1989 წელი

ეპა, რამდენი წელი გავიდა,
ქართულ ცაზე რომ
მგლოვიარედ
ფრენენ მერცხლები.
რამდენი წელი...
კვლავ ყონისფერი,
თმები იშლება და ივერცხლება.

1989



* * *

დუქმორეული პატარა ტალღა
 თავს ცივ ნაპირთან
 თამაშით იქცევს.
 შავ დრუბლებს ელვა უფატრავს მუცელს.
 მიწას დამზერს და კანკალებს სივრცე,
 ცას,
 გზე კი ახლა,
 გულივით უცემს.

1959



* * *

მოყვასს სამარის კარამდე
მივსდევთ...
მივსდევთ და
მივსტირით –
წვიმა,
ქარი თუ
თოვლია.
წამი გმირულად სიკედილის –
დაბადების დღის ტოლია.

1969



მეიმაღაბა

გადავიწყების ქარი წამიღებს
კითარც დაფნის ტოტს
ჟამით მობელილს
ჩემი დღეები იმღერებენ როგორც გედები.
უზომოდ მიყვარს –
მიწა მშობელი,
მაგრამ ცა უფრო მეიმედება.

1979



ა. მ. მარჯანიშვილი

მეთევზები

ზღვისკარად,
დაღლილნი, ფერხმორთხმით
სხედან და ბადეებს კემსავენ,
ნავებში უწყვიათ ჭვილთი და ნაჯახი.
ეს ელვა კი არა,
უფალმა
კვეს-აბედს
გაპრა და...
ყალიონს აჩადებს.


1957



ბაზრა

დასალიერთან რომ იყრებიან,
დღე-დამე არა,
მზითშემოსილი
ჩემი სული და ჩემი ხორცია.
ვდგავარ კით ციხე
უმეციხოვნო,
უნდო წამები,
მოთმინების
ლოდებს მტყორცნიან.

1966



გაზაფხული, სამი წლის ატმის ხე

გახდა ერთი წლის...

ორის...

სამის...

დიახ სამის (ვითარც ეს რითმა)

და იდგა მუნჯად,

ძნელი იყო ამის ატანა

და... უცებ პირი დააბჩინა

პატარა კვირტმა –

ენა ამოიდგა ატამმა.

1973



* * *

სიტყვას და....

თავისთავს ამართლებს

დრო-ჟამი,

მით დამწევა,

დამაშრო.

დღე-დამეს აგორებს,

ვითარცა კამათლებს

და სიკვდილ-სიცოცხლეს თამაშობს.


1962



ლამის პილები

სინათლის მიღმა,
დამის კიდეზე,
ერთი გარსკვლავი ქრება,
ინთება...
იბადებიან ფიქრები და უცებ კვდებიან.
ქარიშხლის ნაჭრებს წაიკრავენ
შუბლზე ზვირთები,
ველურებივით –
ჩემს წყნარ ნაპირს
მოასკდებიან.

1962



ლაზარეგ, გამოვედ გარეთ

შუბლგაჩეხილი,

ბნელით მოცული,

წარსულიდან რომ ყივის ქართველი,

ის ხმები მოაქვთ მომავლის ქარებს:

ზეცა განიხენა –

„იქმნა ნათელი“,

დროა,

„ლაზარეგ, გამოვედ გარეთ!“

1989



მატარებლიდან

ვით დამფრთხალი წიწილები,
სიბნელეში გარბის მთები...
სულს დაფავენ წინწილები,
თავს იკლავენ ბარბითები.

1964



အနော

မျှ မျှော်စွဲ၊ ရှုံးမျှော် –

ပြေား ဒါနာဂုဏ်

အျော်လျော်လွှာ

နှင့် မာစိန္တ စွဲကို ဂျော်လျော် မိမျော်စွဲနှင့်

နှင့် ပျော်မှု မိမျော်စွဲနှင့်

သွော်လျော် မိမျော်စွဲနှင့် အသွော်မှု ဖွော်လျော်

ဖျော်ရှုံးမျှော်စွဲနှင့်

အနော်၊

သာဖွော်လျော်မှု သိမျော်စွဲ

နှင့် ဒါနာဂုဏ် မိမျော်စွဲနှင့်

ပြော်မှု နှင့် ရှုံးမှု နှင့် ပြော်မှု နှင့်

1976



ხმა

ხმა არ მსმენია ფარაონის,
სულთანის, მეფის,
რამეთუ ცეცხლი ვერ დავანთე
მცხეთას და
მემფისს.
ორიოდ ლექსი თანმიმაქვს მე,
ვითარცა სამხრე,
მივეშურები შორს...
სადღაც სამხრეთს.

1972



* * *

ისმის ჩურჩული იაიების
და ჩანჩქერების
ცივი ბლაგილი,
სიმწვანეს ტირის სივრცეები
ვითარც ალოკ.
და გაზაფხული ათოვს ყვავილებს –
მამულისათვის დაცემულთა
სასაფლაოებს.

1972



მოგონებას მიგასათვთე

ქორა ქოროვას ხსოვნას.

შორია ხსოვნის თვალსაწიერი;

თენდება,

ქარი...

შენ და ქარი ბერტყავთ

ხარუთეთებს,

გაცრილ ნისლში წევს მთები –

ურთა – აბასთუმანის.

ახლა კი არ ხარ...

მოგონებას მივესათუთე

და შევუსწორე სიყვარულის

თავსასთუმალი.

1972

დუმან სივრცები

მამლის ყივილზე ღამე მოკლდება,
 მნათოებებს გული უსკდებათ
 და ზეცას ეკვრიან
 შუკასთან შავი აჩრდილები
 კვლავ აილანდნენ
 მსურველი ბნელის და დაღამების.
 დუმან სივრცენი,
 გზაზე დილამდე,
 შიშის ძაღლები დაღავდავებენ.

1957



მხოლოდ სამშობლო, სხვა არაფერი

კით ბრძოლით დაღლილ ჩვენს დიდ
წინაპრებს,
წინ მიგვიძღვოდა
მეხთა მძლევი

ხმა –

სიმართლისა,
მზის და სიცოცხლის გაშლილ აფრებით.
და თავზე გვედგა ჩაუქრობელ სვეტად –
ნათლისა,
მხოლოდ სამშობლო,
სხვა არაფერი.

1960



ის ციცქა ჭოფი

მიმწერის ბაღში თენდებოდა
ჩიტის გალობა,
სოფლის სურნელი ასდიოდა
სევდიან მოტივს,

კოქვი:

ეს ფოთლები
ჩემი ფიქრია,
და დაფოხა ჩიტი,
და რომ იჯდა.
ის ციცქა ტოტი
შეატოკა და...
ხელივით დამიქნია.

1964

ზღვის შაგი როიალი

გარსპოლავებით გადახრუკულ
ცის ყვითელ
ტრამალებს
აკრთობს მიწიერი ლანდების რიალი.
უკრავს ქარიშხალი
ზვირთთა კლავიშებზე,
ტორტმანობს,
ირწვევა
ზღვის შაგი როიალი.

1964



ဝါသဒ တာဂုဏ်ဆွဲ့ဘာ

ဒုက္ခမာမှတ် နာတေသန ရွှေ...

ပြောစိနာ ၅၂၁၀၁၇၆၀

ဗျာလီမာ ဗျာလီမာ စာနာမူရေ ဂာကျာနေး၊

အတာစို့လီစာ မျှော်

မြတ်ပေါ်မူရ ရွှေ

ဂုဏ်ဆွဲ့ဘာ မြတ်ပေါ်မူရ

ဒုက္ခ၊ ပုဂ္ဂိုလ်!

ပုဂ္ဂိုလ်၊

ဒုက္ခ ပုဂ္ဂိုလ်!

မြတ်ပေါ်မူရ စွားပွဲ...

ဟွေးပွဲ ပုဂ္ဂိုလ် အောင် ဒုက္ခ ပုဂ္ဂိုလ်.

1986

ღმერთო შემიწევა

შენ შეჰქმენი და შენი არის
ესე სამყარო,
არ მავიწყდება მე ეს წამითაც.
და შორით გუმზერ –
ოქრო ნაყარ
შენს მთებს,
შენს მინდვრებს,
მაგრამ უნებურ, თუ რამეზე ხელი წამიცდა
და თუ შევცოდე,
ღმერთო, შემინდე.

1971



სამცხე

ციხე მემცნო –

რუსთაველის მაღალ

ქუდად

და საყელო გავიხსენი,

ჩემო გმირნო ათაბაგნო!

გიხმობთ სამცხე.

თქვენს წარსულს რომ გავიხსენებ,

შეა ზამთარშიც უნდა დამცხეს.

1959



ქავის არშია

ნაპირზე უცებ ამოვიდა
ტიტველ-შიშველი
ზღვა და...
დაკარგა
სინდის-ნამუსი,
(ალბათ ადგილი ვერ შეარჩია)
მერე უეცრად ჩაიმუხლა,
დაწვდა
სამოსელს
და შემოავლო ვერცხლისფერი
ქაფის არშია.

1961



ქართული მიზანი

ფხების დღი!

საავტორო დაგვცელების

ღრუბელი,

შავით მოსილი, ვით ჭირისუფალი.

მისხალი მიწა არ წარგვტაცოს

სიავის მდომარეობა,

მიწა დგთის ნაკურთხი;

ამიტომ უფალი,

ცისარტყელას შვიდფერი საჟენით ზომავს.

1984



გათხოვბისას

ირგვლივ ყოველი

დავიწყებით მიმომთვარულა,
უქორწინია აქ სიკვდილს და
არა ჩანს მრევლი.

ეტყობა,

დიდხანს რომ მჯდარან პურად.


წამოწოლილი მხართებოზე,

მიძღვერის ქვევრი,

დგას ყელმოლერით

მაღალი სურა.

1967



მზმანება აღა-მაჟმად-ხან

ჩემი თბილისი...

მთვარე...

წრდილთა ფიანდაზები...

მტკვრის „ბუტბუტში“ კი

ისმის ცივი ხმები

ხაზების.

დუმს შავნაბადა...

დუმს მეტები...

დუმს ნარიყალა,

თუმც მტერზე ჯავრი ბევჯერ იყარა.

კრწანისის ველი

რომ შეკრთება

ძილში ხანდახან,

ო, ალბათ, დაღლილს ეზმანება

აღა-მაჟმად-ხან!

1965

0ქ0დან

ელვა...

სამყარო შთანთქა წყვდიადმა,
ჩაქრა მნათობი –
თვალები ჯიქის.

ქუხილის ხმები
სველ ღრუბლებში
გადაიხიდა
და კიდაც კივის:
ნუ მიხვალ იქით,
არვინ ბრუნდება უკან იქიდან.

1965



ოცდაექვსი მაისი

ზეგარდმო არსთა ძალმოსილებით,
მამაუფალი,
როგორც დაგპირდა,
სამშობლოვ ჩემო,
უპვე თენდები.
და სიხარულის ლამაზ ნაპირთან
გეხვევა სული –
ოქმულებების
და ლეგენდების.

1989



თარიღები

ვუხმობ...

ვეძახი...

ვანჯლრევ...

ვაღვიძებ...

ისინი მაინც ხმას არ იღებენ,

წიგნებში მსხდარი ეს თარიღები –

წარსულში უდვოლდ

თავზარგულები.


1967



* * *

ვერ გაიმარჯვა მტერმა ჩვენზედა,
 თუმც გამარჯვება
 ბევრჯერ ენება.
 და ჩვენში ახლაც
 ურჯულოთა
 გუბუნებს ექოც.
 ჩვენ ლვიძლი ძმები ვართ, ქართველებო,
 ერთსისხლ და ერთხორც.

1988



ცეცხლი და თივა

რა უცებ გაცვდა
სიყვარულის
დიბა და ფლასი,
ჩვენში რა სწრაფად ჩაინავლა
რაც იყო მწველი,
აწ აღარა ვართ ცეცხლი და თივა.
ჩვენ ერთმანეთისკენ მივდიოდით
ამდენი წელი,
ახლა პირიქით,
ერთურთისგან მივალთ და მივალთ.

1959



სტიქსი

წუთისოფელს კი ვერაფერი
ვერ დავაკელი.
მინდა სიკვდილზე ჯავრი ვიყარო,
რადგან დღე და ღამ მესმის მისი
ზარის წკარუნი,
მაგრამ არა ჩანს წავი
ქარონის,
რომ სტიქსის გაღმა გადამიყვანოს.

1964

სული მელეგა

ჩვენ ერთად ვართ და
ერთად ვიქნებით,
როგორც თარი და როგორც მიზრაფი.
მზე და იმედი
არასოდეს გამოგველევა.
შენა ხარ ტალღა
და ნიადაგ
ჩემსკენ ისწრაფი,
მე ვარ ნაპირი,
და ლოდინით
სული მელეგა.

1964



მერე, ბგიან

ახლა არა,
მერე გვიან,
აღმოგხდება რაწამს სული,
შენს აზრს,
სახელს,
გზას და მიზანს,
ვით საგანძურს,
დრო წარსული,
მომავალში გადახიზნავს.

1972



* * *

მზე ცით გადმოდგა თვალმომცინარი,
ვით სიხარული და
პატიება.

შენ კი სადა ხარ,
„ძია გრიგოლ!..“
ეს, იარალი...

მეტეხთან,
მტკვარზე
არჩანს ტივები,
არც ნავი და არც ნავკოსალარი.

1968



* * *

წემთვის ფერს კარგავს
დრო და მანძილი
როდესაც მოდის ლანდი მაცილის
და როცა უნდა
მრუში დაცინვით
აქაურობას რომ მომაცილოს.

1974



მე მირჩვნია

ზოგჯერ ნიავის ჩამოქროლება
ესმის ნაღარად,
დამფა-ზურნად
და ბარბითებად
ჩემს ქართულ მიწას –
მტრისგან დამწვარს
და გადაჯეგილს...
მე მირჩვნია ამქვეყნიურ
ავლა-დიდებას
ჩემი სამშობლოს
ლამაზი ცის
ციცქა ნაგლეჯი.

1963



მიბრძანე ჩემო

გზა არის შორი მარადისამდე,
შენ ამ ცხოვრების
იანიჩარი,
მტვრიან შარაზე დგები,
ეცემი.
მიბრძანე ჩემო!
სად გარბიხარ,
სად მიიჩქარი,
კერა და კერა,
მიწის მაინც
კერ გაექცევ.

1976



თქვეს

რისთვის და რატომ?
არვინ თხოვს პასუხს,
მეც დამიდგება ვიცი ის დახლი,
გხედავ ჟამთასვლა
იქითკენ მრიყავს.
გეთილი,
მაგრამ ამდენი ხალხი,
იმქვევნად ჩუმად,
თქვას ვისთან მიჰყავს.

1976



მგელი აპგანი

ქალი კითხულობს „ფარაონს“,

გაცი „რემბოთი“ გართულა.

შლის ინდაური მარაოს,

კიბისქვეშ სძინავს ბათურას.

ისმის ქათმების კაპანი,

თუმც „სისა-ტურა“ არ ტურობს,

სხვენზე დევს ძველი აკვანი

და ბალღის ღნავილს

ნატრულობს.

1968



STELE¹

...დღეები სხედან დამის ტოტებზე
და ჩვენს ლამაზ
ცხოვრების ხეს
არხევენ,
ჩამოცვენილ ნაყოფს მკვიდრად ჩაფლავენ,
ქვითა და ჯვრით
ადგილს მოინიშნავენ,
და გორაკზე,
კით ძახილის ნიშანი –
დგას მოწყენით თეთრი სვეტი საფლავის.

1972

¹ STELE- საფლავის სვეტი (იტალიურად).



მამალი

საათი არა,

აღვიძებდა პაპას

მამალი

და მის ყივილზე

შორს მიმავალი

დგებოდა წუმად,

ხელი ედო ჟამის აღვირზე.

და, აი, ახლა ყივის...

ყივის თავგადაკლული,

მაგრამ მძინარეს,

ვედარაფრით ვედარ აღვიძებს.

1961



სამყარო ათასფრად ირთვება

წაშალონ ზღვისა და ხმელეთის
სამანი,

აბორგდნენ ზვირთები,
ხმარობენ ღონესა და ცდას.

სამყარო

ათასფრად ირთვება,
აუჯანყდნენ ვარსკვლავები ცას.

1972



* * *

ვით დარღიმანდი,
 უზრუნველად დავდივარ,
 დავალ,
 თუმც ვალი დამდევს მშობელი მიწის,
 შენც ნუ გგონია სიცოცხლისთვის
 ცოცხლობ და იღწვი
 და მით გიგალობს
 ვარსკვლავთა ქორო,
 არა, ძვირფასო,
 სიკვდილისათვის –
 ჩვენ ყველა ვცხოვრობთ.

1971



* * *

ვით შეცდენილი უცხო ასული,
ტალღა ნაპირზე
მიიცრემლება,
ცხელ ქვიშაზე კი ბორგავს გლეხის გოგო
ალალი
და ეჩვენება, მზე კი არა,
გახელებული
მიჯნური ბიჭი რომ უკოცნის
ოქროს დალალებს.

1974



ბატა

ჩიტს მახეს უგებს...

გალურსულა ნაგვის

კუთებთან

და ელვანარევ თვალების სამხამს

ცბიერება და სივერაგე

ახლავს ფარული.

ტუჩს იღოპავს და

წითლად ჟაჟნს

პატარა ხახა

ბროლის ნემსებით შემოსარული.

1972



ქამე უშგულები

კოშკიდან თუ ლეგენდიდან
კივილი კვლავ
ისმის დალის,
(ალბათ ამირანზე მორჩა)
ცისკიდურზე,
გარსკვლავი კი
ისე მოჩანს,
ვით იქსოს ხელისგულზე –
ნალურსმნალი.

1967

* * *

ზვირთებს ჩაკრულებს

ზღვის ლურჯ აკვნებში,

მაღლა ამოსვლის ჰქლავდათ წყურვილი,

თავისუფლებას

ქარი დაპირდათ

და მზე და ლტოლვა

მკერდზე ეფინათ.

ძრწოდა მიდამო...

და ქარიშხლით გაცრილ ნაპირთან

მკვდარ დედის ძუძუს უხმოდ წოვდა

ციცქნა დელფინი.

1972



ტლები ძერჭავენ

ჩემთან მორბოდით...

და არ აცდენდით

კოცნა და ხვევნის ტყბილ გაკვეთილებს.

და, აი, ახლა,

კვლავ გიხსენებთ

ყველა მემავეთ.

ზოგჯერ უხეშებს,

უზნეოებს,

მაგრამ კეთილებს

და ლამაზ-ლამაზ მოგონებებს

წლები ძერწავენ.

1972



* * *

မအမြဲး ဖိုဒ်လို့၊
 ဂအမြောနိုင်းအား
 အမြောရွှေနိုင်း ქာရီ წါဌေးဖြေား
 ဇာ ရာ ဇာမာစာဇာ၊
 ရာ ဇာဇာပွဲဖြေား
 ဗိုလ် ဇာ ဗိုလ်ချော် წါဌေးဇာ
 ဇာ အတာဆွဲရာဇာ
 ဒု ဇာ ဇာများဖြေား.

1961



* * *

ვით მზე დილისკენ,
მოვგელაობ
და მოვსწრაფი,
თუმც შიში მაგრობს
შენსკენ მოხედვის.
სხვისოვის? რა ვიცი,
მაგრამ ჩემთვის ხარ ჯოჯოხეთი,
— მე შენ მიყვარხარ!

1958



ზღვისპარად

ამქვეყნიურს უეცრად მოწყდნენ
 და ჩაიძირნენ
 არყოფნის ფსკერზე.
 სისხლს გაუმართავს ძარღვებში დოლი –
 აჩქარებს ნდომა
 და ვნება წუწყი.

ქალი –

ვაჟის მკერდს კბენსა და
 ლოღნის,

ვაჟი –

ქალის ტუჩს წოვსა და წუწნის...

.....

ზღვისპირს სულს დაფავს ოხვრა და
 კვნესა.

1979



ვითარც ჩემი მოსაგონარი

ზურაბ და დაჩი.

ჩემი ქონება,
რასაც გიტოვებო, ყველა აქ არი:
ორიოდ წიგნი –

ჩადებული
შავი ზონარით,
თეთრი ფურცლები და წათლილი
ხეთი ფანქარი
მაგიდაზე დევს,
ვითარცა ჩემი მოსაგონარი.



გვიანი ზამთარი

შორს...

თოვლი ჰყვავის

როგორც შროშანი,

ლოდინს თვალები მთებისკენ დარჩა.

წუხს ბებერ ზამთრის უმეგობრობას,

თუმც ყოველ დამე,

ჩემს ბაღს და ბაღჩას

ქსელავს და ქსელავს თრთვილის ობობა.

1968



მგალობელ ჩიტივით

როცა ჩამესმება ფრთისრხევა
ციურთა
სულგალაღებული მიწიერ ლოცვებით
და დამით,
როდესაც სიყვარულს
შევუვლი,
მიყვარს სასწაულად
მე შენზე ოცნება –
მგალობელ ჩიტივით –
გულში დამწყვდეული.

1966

* * *

შავითმოსილი კარიდან-კარად
დადის და...

დამხვდურს

ხერხემალს უმსხვრევს,
საწუთროს
თავზე ბროლივით აფშვნის.
დღეისდღეობით კითხულობს სულ სხვებს,
მაგრამ ერთხელაც
მეც მომაკითხავს
და... რავქნა მაშინ?!

1967



სინამდი

ალბათ ასეთი იყო ნება
ღვთის და განგების,
გიმუშავე და ამაოდ დავშვრი.
უმცირესია ჩემი
ნადავლი.
და ასე კკვდები,
პოეზიის –
უბელო რაშის
ო, თუნდაც ერთხელ
ვერ ჩავიგდე
ხელში სადავე.

1981



ციცინათელა სინათლეს პგმსავს

მთვლემარ ნაპირთან ტიტელ-შიშველი
ჭყუმპალაობენ
ცელქი ტალღები.

თეთრ ფანტელებს კი ალუჩა ბარდნის.

ციცინათელა დამის კვესზე
სინათლეს კვესავს.

და სადღაც, მიღმა

სინათლის ფარდის,
ზღვის თუ სულდგმულის მოისმის კვნესა.

1981



ხორგის სასაფლაო

ცის სამრეკლოში შემდგარი ღამე
ისევ არისხებს
მნათობთა ზარებს,
აღსაგლით ცისკრის ირწევა ანძა
და ისმის ლოცვა:

— ქოგუალე დორონთ
სქან ოროს.¹

ცისკენ მზირალი დიდი ცაცხვი მიაგავს
ტაძარს
და მკვდრებს უგალობს
„სულთათანას“
ჩიტების ქორო.

1968

¹ შემოვევლე შენს ჩრდილს ღმერთო. (მეგრ.).



მონაცემი პრეზიტი

ბაზარი ზუზუნებს სკასავით,
 დგას მაწვნის ქილებით
 დიდყურება.
 ვიღაცა ცეცხლს უკიდებს ნიყვს.
 მოხუცის უბიდან
 კნუტი იყურება,
 კნუტი კი არა,
 ფუდუროდან,
 თითქოს ეშინია გამოსვლა ციყვს.



შრთა – აბასთუმანი

სოფელს დაბრუნავს აჩრდილი ქორის
და ვაზნარებში
ჩაფლულა ურთა.

ისე მოჩანან ქოხები შორით,
ვითარცა შავი ბაქნები კუთა,
და მიაბოლებს
მწვანე მიდორზე
გლეხებაცი გუთანს.

1964



* * *

მიღმა ჭმუნვარე ათასწლეულის
 ისმის მძვინვარე
 ცხენთა თქარუნი –
 სასანიდების და ხაზარების
 და ცას და მიწას
 აზანზარებენ...
 და არ ისვენებს წამით ქარონი...
 ყოფნა,
 არყოფნას
 რეპენ ზარები



* * *

ქარი რომ უხმობთ...

ახლა წვიმა რომ

უკაპუნებთ,

აქ არის მათი სახლი და ბინა,

რადგან გამჩენმა,

სათითაოდ

მიწას ასტუმრა.

იმათ კი სძინავთ,

სძინავთ და სძინავთ

და ცივი ქვები უდევთ სასოუმლად.

1980



* * *

გაკრთა სინათლე –
ცამ გაიოცა,
ზღვაზე ქარიშხალს
დრუბლის ფარა
უძოვებია.
ის ორი ზეირთი,
ზღვის მკერდიდან რომ აიბორცვა,
ზეირთები არა,
აფროდიტეს ძუძუებია.

1980



* * *

ანგელოზების ცრემლით დანამულ
ღრუბლებზე სხივნი იელვებენ
ოქროს რიკებად.
ცის მდინარეში კიდიდან კიდით –
გადებულია ცისარტყელას
ვეება ხიდი.
ზედ ცეცხლისფაფარაშლილი მზე
მიიღორიკება.



შთამომავალი ჩემი

მელის და ხარობს
საუკუნო განსაცხოვმელი...
არყოფნის კერძი,
სიკვდილის ლუკმა
მივალ...
მივდივარ აქედან –
იქით...
მწუხარე თვალებს მაყოლებს უკან
შტამომავალი ჩემი, –
მოდგმა ლომის და ჯიქის.

1964



მადლი ღმერთს

ლეწეს ქართული ცის დარაბები,
მოჭრილ თავს სარზე
დროშად ჰკიდებდნენ
სასანიდები და არაბები,
სპარსელები და სელევკიდები.
დღეს კი დაყურებო მთვარე ეული
და გერ აღვიძებო
ყველა ცერბერის.

მადლი ღმერთს!

მტვრად და მიწად ქცეულან
ქართულ მიწაზე მეოცნებენი.

1968

* * *

მიწის საშოში იკლაკნება

და ვერ ამოდის

და ზღვა მიაგავს „ჯოჯოხეთს“ – დანტეს,
გლოვისფერ დელვას ზღვარი არ უჩანს.
ქარი კი ფანტაგს სულ ფანტელ-ფანტელ
თოლიების თეთრ ფუჩქს და ფურჩალს.

1972



მრთავმინდა

მოგონებები მიიკვამლება

ერთაწმინდისკენ...

მიღმა იკორთის.

სამშობლოს ცაზე,

შვილო პაპტა,

კარგი ჩანს დარი,

მაგრამ წარსული გულს კვლავ მიკორტნის,

როგორც ეპალი

ქუსლში ჩამტყდარი.

1971



ခေတ်ရှစ်နှစ်

သွေးဖြတ် မိမိ မိမိ
 နှစ် အမျိုးပါတ ဂျူလ်
 ကျော်၊
 တိဘဲတိဘဲ အောင် အောင်
 အန ဒုက္ခ နှစ် အောင်
 နှစ် အောင်၊ ရောက်ရင် ဖျော်လျော်
 နှစ် အောင်၊
 အောင် အောင် အောင် အောင်
 နှစ် အောင် အောင် အောင်
 အောင် အောင် အောင် အောင်

1964



მართალს დღეს მიხვდი

შენი სიცოცხლის სანაპიროზე

უიმედობის ქარიშხალი

ქროდა და ქროდა.

მოწყდნენ,

დაიფშვნენ,

მოწყენილი დღეთა ტინები

მართალს დღეს მიხვდი,

(დღემდის მაინც იმედი გქონდა)

რომ უკვდავებას

სულ ტყუილად ეპოტინები.

1999



მთლად ნე მიენდობი სოფელს

აუნთე სანთელი თაფლის,
იმ დიდ ქვეყანაში
მყოფელს,
არ გინდა ვაი და ვუი.
და მთლად ნე მიენდობი სოფელს,
ჭკუით,
ვაჟას ეგრისელო,
ჭკუით!

1990



* * *

მომავლისკენ მიიღის
ტეხური და ნოდელა
და ცა მოგავს მინარეთს.
საქართველოს წარსულიდან
ისევ ისე მოდელავს
თქმულებების ზღვები და
ლეგენდების მდინარე.

1958



အားဖော်

დაბადებიდან მმები არიან
გამარჯვება და
დამარცხება,
ჩემო გიგია.

მადლობა უფალს,
ვით საქართველოს,
მეც ყველა ომი არ წამიგია.

1979



ზამთარი

ცვივა ფიფქები, —
სიტყვას ამბობს ბერი
ზამთარი,
ფრთების ფათქუნით ცისკენ ილტვის
კვამლის ფრინველი,
ძველი ცოლ-ქმარი —
ცა და მიწა ისევ შეერთდა.
და ცეცხლი ყვება ათასმეტოვედ,
ღმერთებთან მებრძოლ ამირანზე
ლამაზ ლეგენდას.

1968



ဒုသမာရေ လာ...

ဂျော်စွဲ တော်လှပါး ပြောလိုက်ရေဖိုလ်
 ပုဂ္ဂနာရောင်း၊
 မျှော်လှရေ ပေါ်တွေ့ရေ
 ပေါ်သွေး အမိန္ဒား၊
 မြို့မြို့ မြော်မြော် ဖွံ့ဖြိုးလာ မတိုင်း၊
 ဖွံ့ဖြိုးလာ ကြော်လိုင်း.

ဒုသမာရေ လာ...

ပျော်မြို့မြို့ လျော်လိုင်း
 ဖွံ့ဖြိုးလာ ပြောမြို့ဗြို့
 ပါမ ရွှေ့ပါ အရှို့ဗြို့ဗြို့၊
 အမိန္ဒား ရောမ
 လွှာလိုင်း ဖြော်လိုင်း.

1974



* * *

ცერზე დაგისვი „ჰორიზონტები“,
„ნათელ ხილვა“ და
„ამაღლება“,
კიდლესასწაულე
და დავითინე დარდისფერი ჩრდილი –
დაფნების.
სიკვდილს მაინც კი ვერ დაუძვერ,
ვერსად
წაუვალ,
მესმის მწუხარე ხმა დაფდაფების.



ՕԺԱԿ ԵԱՏԵԼՈ

Շորს

Յլլա ջակրտա –
 Սպառու ճոմոլագ,
 Ռու ճամու շուղյուն մնատոծելմա
 մոցարյ Շյությէ
 քա Ռու Տօնատլյ Իշցը օագոնի,
 մաժօն Շյըմակյ Ցյետա մշյոյյէ:
 „օվմյան նատըլո“,
 Ռոմ ჩյմո մԾյերո զագանուագո.

1977



ალგანი

ვითარცა ზეზვა გაფრინდაული,
შემოგვეგება,
თუშო
ალგანი, —

სავანე ძლიერთა
და არა უძლურთა.

გაბზარულია ცის გალავანი,
წვეთაგს ირმის რბე
მთვარის
ძუძუდან.

1977



მიზისმარა ტყეში

მზეს ფეხი წაჰკრა დედამიწაშ
 და წაბარბაცდა,
 ძლიგს შეიმაგრა თავი
 ზურგზე მდგარმა
 ურჩხულის.
 ცას დუმან მთები წალენჯიხის და
 ნარაზენის.
 და ოჩოქოჩი ტყაშმაფასთან
 აღარ ჩურჩულებს,
 ტყე ფოთოლს ფიქრობს...
 სიჩუმეა ამაზრზენი.

1968



პახეთში

ცათა მეუფეს მწუხერისას როცა
დაუგარდება ჩრდილი
მხარიდან,
ნატაძრალიდან მაშინ ისმის
შიში და ლოცვა,
კვნესა,
გოდება,
და კივილი ნაციხარიდან.

1984



* * *

ტყის დიდ ტაძარში მღოცველებივით
 დგანან მუხები,
 დგანან თელები
 და ამ უდრანში ვეძებე და ვერ შევიცანი,
 ის ხე,
 რომლისგან გამოითლება
 ბოლოს...
 ჩემთვისაც
 ოთხი ფიცარი.



პილი

გამოქვიდისას –

თვალთა სარკმელში

დამენათევი და ნაწამები

ძილი –

ფეხაკრეფით შეპარულა

და დაუდვია გისოსები –

წამწამებს.

1968



ალექს

მეყოფა მსხვ

ჩემი მამულის სიყვარულის
ქვაზე რომ ვლესე
სული,
ო, იმ სულს გაგაყოლებ
როდესაც მერცხალს
და თუ კიხილავ ლაჟავრდოვან
სამშობლოს ზეცას,
მშვიდი ძილისთვის
მეყოფა ესეც.

1966



შიდამშრთან

საგურამოსთან თოფმა იქუხა
და მეყსეულად
კვლავ შემიშინა –
დიდი ილიას ქარ-მიდამო
და საბრძანისი.
და... საქართველოს წიწამურთან
ესმა კრწანისი,
კითარც მარადი სევდის ყიჟინა.

1962



ანდერსენი

არც დევი,
არც აგსულები
და მაინც შიში ფაფარს შლის.
ელავს ბავშვობის
წლების მესერი,
და მესრის მიღმა
ცხოვრობს
ზღაპარში,
ის ზღაპრის გუდა, —
ჰანს ანდერსენი.

1973



ლამის პეიზაჟი

მეხი ხანდისხან ხმას დაიბოხებს,
წვიმა უკრავს და
ირხევიან ელვის სიმები,
ღრუბლის ყორნები
დობე-ყორეს
კვლავ ედებიან...
ცის უდაბნოში გარსკვლავები რომ
ციმციმებენ,
გარსკვლავი არა,
ჩვენი შორი
იმედებია.

1969



ისეგ ისეა

აკთანდილებ

წუხილისა და დარდის ღრუბლებმა

რაც შენი წილი

მოჩახჩახე –

მზე გადამალეს

და დავიწყების სასწორზე შესდექ.

ისევ ისეა,

მზე ამოდის,

ყივის მამლი,

შენი ხანმოკლე სიცოცხლის შემდეგ.

1992



* * *

მტერთან კი არა,

ქართულ სიტყვის

ჯართან ბრძოლაში,

მე ნათლად ვხედავ როგორ დაგმარცხდი,

მაგრამ რას იზამ,

არ ბერდება,

გული კვლავ ნორჩობს.

თუმც დრო, —

დღეების თეთრი სავარცხლით,

ჩემს ობოლსა და ციცქნა ლექსებს

უვარცხნის ქოჩორს.

1978



အဖွဲ့ ၭ၇

သမာမျှလျ ရွှေ၊ ပုဂ္ဂန်မျှလျ –
လောက်ခွင့် မိမ့်ပျော်ပါ
ဘုဒ္ဓဝါဒကျော် ပာရွှေတော်,
မြို့သမာရ် ပေါ်ပေါ်ပေါ် အပေါ် ဖွံ့ဖြိုးလို့
နေ ပို့မို့ ပေါ်ပေါ်
မြောက်မြောက်
ပုဂ္ဂန်မျှလျ
ပုဂ္ဂန်မျှလျ,
အဖွဲ့ ၇၇ –
ပုဂ္ဂန်မျှလျ ပုဂ္ဂန်မျှလျ
ပုဂ္ဂန်မျှလျ.

1983



ო, სულო ჩემო

ო, სულო ჩემო! –

სამშობლოს ცად

ამაღლებულო,

მიწყივ,

შორეულ შარავანდში უნდა გენათა,

ამქვეყნიურ ჭირ-ვარამით

უკმაყოფილოს.

შენ,

გამგებელო –

უზენაეს

ზენათ-ზენათა,

ო, სულო ჩემო,

ყოფილო და არაყოფილო.

1965

ჰრიფინა

არ ვიცი რატომ,
ასეა მუდამ,
ვტირი თუ ვმდერი,
მილხინს
თუ
მიჭირს,
ვდგავარ და ვუსმენ პაწია მწერის
სევდა და ნაღველ
გარეულ ჭრიჭინს.

1961



პირველი სოცელი

თუმცა ჩემამდე ადიდეს,
აქეს,
მაინც ტირილით მოგელ თურმე.
იქიდან –
აქეთ.

აქ კი დღეები გრიგალივით მიჰქრის და
მიჰქრის
და პვლავ ტირილით
მივალ ისევ

აქედან –
იქით...

1981



პითარცხა გარდი იმრიძონის

ოქროში მცურავ

შენს ყვავილნართან,

თითქოს ჟდაბნოს

სუნთქვა ვიგრძენი

და... მოყვავილე ჩემი სტრიქონი

წარსულს მოვწყვიტე

და მოგიძღვენი,

კითარცხა გარდი იერიქონის.

1989



გხედავ

ოდნავ მოწყენილ ცაზე კოლხეთის
მთვარე ჰკიდია,
ვით ბუმერანგი.
მე კი ბავშვობის ცეცხლის ალში
კვლავ ვიტრუსები,
ვხედავ: მაცვია ქამა-სოკოს
მოკლე ტრუსები
და ციცქნა ტყემლის თეთრი პერანგი.

1984



მზემ სხივი

მოგიდა დამე

და არსი ყოველი,

ვარსკვლავთა აკვნებში ჩააწეინა

და დააძინა.

მერე დილით კი,

მზემ სხივი,

ჭუჭრუტანებში კი არა,

ნემსის ყუნწში გააძვრინა.

1964



შემოღვევა, ინდური ხურმები

ჩემი ბავშვობის შუკებს მივყვები,

ძაღლებს ვაბრაზებ...

ბავშვებს ვიჰერ და

ვეხუმრები

და დობე-დობე ეზოებში პვლავ ვიჭვრიტები.

ვით გადამფრენი ციცქნა ჩიტები –

შემორჩენიათ ტოტებს ხურმები.

1966



ჩემო ღდიშო

როცა შეწყდება გარსეპლავების
 უცხო სერობა
 და მზე შეახებს თითებს
 სიმს დილის,
 მაშინ,
 ო, მაშინ ღვთაებრივო
 ჩემო ღდიშო
 თმაგაბრძგნილი დამადგება თაგზე
 სიკვდილი
 და სულს წამართმევს
 უსირცხვილოდ
 და უბოდიშოდ

1965

მხარი მეცვალა

უღმერთო მიჯნურს გაზაფხულების,
დაუკითხავად
კარს მომადგა
უცებ ზამთარი,
გთხოვე გამცლოდა,
მაგრამ მაინც
არ გამეცალა,
და აი, ახლა,
საქართველოს მწით გადამთვრალი,
დამეში მივალ,
სინათლეში მხარი მეცვალა.

1968

მისამართულობის ძარჩევი დგინდა

დღეს

დამე მოსდევს კვლავინდებურად
და ვარდთან ერთად
ჰყვავის ეპალი.

ახლაც,

გით ადრე,

დიდიხნის წინათ,

მარტის სუსტ მკლავზე გაუყრია
ციერს ხელმკლავი
და მიკამართულობს ქუჩაში წვიმა.

1962



9 აპრილი, 15 08:00ს 0 1989 წელი

აღმოსავლიდან ვიდრე დასავლით
სისხლმა და ცრემლმა
გადაუარა
სამშობლო მიწას,
ჯერაონახულ უბედურებით.
და... საქართველოვ!
ხედავ თუ არა,
გეპარებიან...
და ჩხავიან „ძმები“
ტურები.

1989



* * *

ღმერთო მიშველე!

აწი პატივით,

იმ უცხო ქვეყნად ველი მიწვევას,

მარადისობის შერთვა მინდა,

თუ შემიერთა.

და ჩემი დღეები მწუხარედ ირწევა,

„ვითარც ლერწამნი ქართაგან ძლიერთა!“

1987



გრიგოლ ორბელიანი

უტყვი მოწამეა მთები დიდონი,
მშობელ მიწას და
ცას გამიჯნული,
მას არ უშლიდა გენერლის ეპოლეტი,
რომ ყოფილიყო
უღმერთოდ მიჯნური,
რომ ყოფილიყო კაცი...
და პოეტი.

1985




დაჭპნა სურვილი

დაჭპნა სურვილი...

არა აქვს სურნელი,
უნამუსოთა და საჭურისთა
ფერხთქვეშ მიმოყრილ ვარდს და მიხაკებს.
და, ჰა,

დღეებმა ჟამთა ჭურიდან,
აქ ყოფნის ტკბილი იმედები
ამომიხაპეს.

1983



საღამოა ჭყარი და ჩუმი

— ვესროლე კურდღელს...
დამფრთხალმა ექომ
გადაიფრინა სქვია და ჯუმი
და, ვითრაც მწყერი, შეასკდა ურთას...
აქ მამაჩემი ნადირობას
სხვა ამბავს ურთავს,
ხარობს ბუხარი...
საღამოა მშვიდი
და ჩუმი.

1957



* * *

აღმოსავლიდან,
 ვიდრე დასავლით,
 მოოქროვილა ცა ვარსკვლავებით,
 არ ჩავარდება ნემსი,
 (ვით ეს ქართულ ცას მოდგამს)
 და სადღაც შორით,
 მესმის,
 არც მესმის,
 ზღვის ზღუძუნი და ქარების მოთქმა.

1959



ზღაპარში ვხედავ

ბაგშვილის წლები როცა იელვებს,
მაშინ ზღაპარში
მე ვხედავ ნათლად:
პატარა გოგოს გაფანტვია
ფეტვის მარცვალი.
ზის კერასთან და
წყევლა-კრულვას
ჯარაზე ართავს,
წელშიმოხილი,
ცხვირკაუჭა დედინაცვალი.

1969



ემანსოვრებათ

დღეთა ცერზე მჯდარს,
 როგორც მიმინოს,
 ცათა და ზღვათა მარად მოლაშქრებ,
 ღვიძლ შვილს,
 გერად მთვლის,
 წუთისოფლის ნელი მდოვრება.
 არაუშავს რა,
 ჩემი ჩანგი
 ჟამთა ქროლვაში
 ზღვაში გრიგალებს,
 ცად გარსკვლავების ემანსოვრებათ.

1972

* * *

მხურვალ ქვიშაზე ბუღრაობს ქარი,
კივის წყურვილი...
და სივრცეები
ყრუ მირაჟებით უბეს ივსებენ.
ცას შეჰურებენ ხახამშრალი
უდაბნოები
სველი თვალებით –
ოაზისების.

1979



და მაიც მტკიბა...

დოომ ვერ განკურნა
 განკურნელი,
 ვერ გააყოლა მტკვარს
 დაშლილ ტივად
 წყება დღეების, —
 ასჯერ მოკლულს ისევ რომ მკლავენ.
 რვა საუკუნე მიინავლა
 და მაიც მტკიბა
 მე,
 არსაკიძის მოჭრილი მკლავი.

1959



* * *

როგორც ფიქრობენ,
მზე და მთვარე
არ არიან ტყუპისცალები,
შუბლნათელ დღისთვის
მზე –
ჭაბუკი –
ძე, გახლაგთ ლვიძლი,
მთვარე კი,
გერი ქალიშვილია,
დამისგან მოყოლილი.

1961



ცა სამშვილდის

სძინავთ მეფის მოღალატე
ბაღვაშებს და ბაღვაუშებს
და ფერმკრთალი ცა –
სამშვილდის
მათ საფლავებს ისრებს უშენს
ცისარტყელას
ფერად მშვილდით.

1979



რუსთაველი

ვით ჩაუმქრალი სვეტი ნათლისა,
გარდმოვლენილი
მზის საუფლოდან –
ჩემი ხმა არის სამყაროს რომ
სინათლედ უფლის
ტერფიდან –
ოხემით.
გრიგალებში და მნათობებში გავრიე სული
და ცა და მიწა
ავავსე ჩემით.

1966



ဣနဗော

သမျှတရား မြန်မာစု မိန္ဒီဘဏ်၊
 မြန်မာစု မြန်မာစု
 မြန်မာစု မြန်မာစု
 မြန်မာစု မြန်မာစု
 မြန်မာစု မြန်မာစု
 မြန်မာစု မြန်မာစု
 မြန်မာစု မြန်မာစု
 မြန်မာစု မြန်မာစု

1971



ო, ღმერთო როგორ გაგითამამდი

წევს სიზმარეულ სიჩუმეში
ცისკრის სამანი
და გარსკვლავები
დამეს არყევენ...
შენთან ვსაუბრობ, ღმერთო! –
როგორ გაგითამამდი.
და ულაყივით,
ჟამიც ყალყზე
ვით შევაყენე,
ჩემი პატარ სტრიქონების –
მოკლე ქამანდით.

1966



* * *

შორს,

ქარები – ყაჩაღები,
ქალწულ ხეებს ატიტვლებენ.
აქ კი კოცონს აჩაღებენ
მიხაკები და ტიტები.

ცას

ახველეს და მიზეზობს,
წუხს კამა ანისული,
დედა არ ჩანს...
ოხრავს ეზო,
დედის ფიქრით დანისლული.

1984



0სეპ მოლოდინი

წლებმა ჩემს ცაზეც გადაიგრგვინეს,
უიმედობის მეხთატეხამ
შთანთქა ყოველი...
მაგრამ როდესაც მტერს და მავნეს
ვუთხარ „არეული“,
ადიდდა სული...
და აბრწყინდა ის მზე,
ის ხატი.
და ახლა ველი –
შტოს სიხარულის,
როდის მომიტანს მტრედი ნისკარტით.



აგელი და გამი

ჩვენების მიღმა –

დაუსაზღვრავი

და ბისონისფრად

მოკამპამენი –

ცრემლებად ცვიგა მნათობები ცას –

გადაბეჭილს.

ცოდვის მორევში ცურავს კაენი

და სამოთხისკენ მიფარფატებს

სული –

აბეჭილს.

1988



არ ჩაგთვლიმოს

შიგ წევს შენი სიცოცხლე,
დროის აკვანს
შენ არწევ,
არ ჩაგთვლიმოს!
თორემ მზეს,
ვითარცა ხმალს მოქნეულს,
თვალსაც ვეღარ შეასწრებ.

1976



რას იზამ, გარბო

ალბატროსივით ცაში დაფრინავს,
მაგრამ მიწაზე გაიაროს,
მას „ფრთები უშლის“.

თავს იკლავს...

იღრჩობს...

და ადარ გრძნობს

ქენჯნის ნატამალს.

რას იზამ,

კარბო,

პოეტის სულში,

ზოგჯერ ღმერთი ზის,

ზოგჯერ სატანა.

1984



ამოწვდილი ცეცხლის მახვილი

დამის მიღმიდან ისევ ისმის
დღეთა ყიფილი,
ყოფნა-არყოფნის
ერთად მნახველი.

სადღაც ზესკნელში —
მნათობების
მოჩანს უღრანი.

აქ,
ჩემს ცაზე კი,
ამოწვდილი ცეცხლის
მახვილით,

მზე ისევ მიდის დასავლეთით
და მიბუღრაობს.



ქადაგი

— ვერ გაექცევი დღეთა მარულას,
სიცოცხლის ნერგი
თუ არ გადახმა.

და წუხს ქადაგი:

— რისთვის მოხვედი?!
გამოღმა,
ხედავ —
დუღს ჯოჯოხეთი,
მაგრამ არ იცი,
რა არს გადაღმა.

1972



* * *

ქრისტე ეგონა,

ცა როდესაც ჩაახველებდა
და მის საძებრად ჩემმა ფიქრმა ბევრი
იარა —

მზის ჭიშკრის მიღმა,


სდ მნათობთა ოჯახებია.

სწამს,

ჯახაჯუხი —

ცაში ღმერთთა ომი კი არა,
საუკუნენი საუკუნეს ეჯახებიან.

1988



როდესაც ღმერთებს გმისაშპრები

უამს მიმწუხერისას,
 სიყვარულის
 წმინდა ტაძარში,
 (შენთან ყოფნით და სიცოცხლით
 მთვრალი)
 როდესაც ამჟრს,
 და სხვა ღმერთებს
 ვესაუბრები,
 ცა გაიღიმებს –
 ქათქათა მთვარეს,
 გამოაჩენენ ოქროს კბილებს –
 შავი ღრუბლები.

1971



იქმან ნათელი!

საუკუნეოთა ბჭეებს გადივლის,
შეებრძოლება ჟამს –
რკინის მკვნეტავს.
და ვით ცისკრისას
დიადი მზე – აღმოსავლეთით
„აღიმართება წიგნი ესე
რჩეულთა სვეტად“.

1973



მცხეთა

და, აჟა, მცხეთა...

წარსულის –

ბნელ ცხრაკლიტულში

ისევ შევედი.

მესმის ყიუინა მეციხოვნეთა,

მესმის ნგრევის ხმა...

უყვირი: ციხეს ვინ აზიანებს?!

– ვესპასიანე!

მტკვარზე ხიდს ვინ დებს,

მთას ლაშქარი ვინ შეუსია?

ტამერლანია...

– მეორე კი პომპეუსია!..

1969



შველა აქ არი

მდუმარ ცაცხვებთან გდია ფერდობი
და მიღმეთიდან
მოწყენილი
ისმის ძახილი: მეფის,
მეჭურჭლის და მენახირის,
მუშის,
მჭედელის, ბერის, ამქარის,
მგოსნის და მხატვრის და დიაკვანის,
გისთვის დაირწა ცა და აკვანი,
ყველანი აქ ვართ!..
ყველა აქ არი!

1958



* * *

ცას ტორებს სცემდა
 ადმოსავლეთით
 და მზის ჭიხვინი მოისმოდა
 ფაფარაშლილი.
 ვარსკვლავთა ჯიღა –
 დედამიწას ედგა გვირგვინად,
 როს ცა გაიხსნა,
 და უფალმა გადამიფრინა –
 მარადისობის
 ფრთების შრიალით.

1962



0183 მცხეთასთან

დუმს ეკლესია...

ციხე კოშკი...

და გალავანი...

მტერთან მებრძოლი,

ღვთისმოსავი არა ჩანს მრევლი,

მაგრამ ვგრძნობ, – მაინც მიოვალოვალებს

ჩუმი და მკაცრი:

საუკუნეთა გამბურღავი თვალები –

საცრის

და თვალებიდან მარცვალ-მარცვალ

გაცრილი ცრემლი.

1960



* * *

რადგანაც ქვეყნად მოველ წვალებით,
ამა სოფლიდან –
ვიცი რომ წავალ,
სხვა რა მაქვს მეტი,
განათებულს ჩუმი გალობით,
გიტოვებოთ ჩუმი ოცნების ქალაქს.

1970



აჩრდილები

მამა-პაპათა აჩრდილები
თვლემენ ბორცვებთან,
მათი ხმა ახსოვს –
ციხე-ბურჯებს, ზერებს და მამითადს,
რადგან სიცოცხლე მათაც თურმე
ჩვენებრ ტკიოდა.
ჩვენ აღარ გვესმის,
მაგრამ, ალბათ,
დღით და დამითაც –
ისინი ისევ გვიყიფიან საიქიოდან.

1958



* * *

მზით და ლოდინით დაღლილ
 ყურესთან,
 მოსჩანს ტალღების სველი ქოჩორი,
 გელური სტგენით –
 ცხელ ქვიშაზე
 ქარები როკავს.
 და ვითარც დედა,
 ახალშობილ ლამაზ
 ბოჩოლას,
 ზღვა გაშმაგებით სანაპიროს
 ლოკავს და ლოკავს.

1961

ხავსი

სასაფლაოზე ჰყვავის მოწყენა,
და დანგრეული
ეპლების
ანთია სევდა,
რომელიც მიმწუხარს დუმილით ავსებს.
მშობელი მამა აქ წევს და ვხედავ:
საფლავის ქვაზე დავიწებად
დაცოცავს ხავსი.

1981



გაზაფხულის ფილები

ცათა მეუფებ

სიმყუდროვეს სტყორცნა

არგანი

და დღე დაამხო

და დაარბია.

ნაკადულები –

დაბმული მწევრებია,

ტყის სიჩუმეში დარბიან...

დარბიან,

გაზაფხულის ცა როცა აუშვებს.

1958



ძველობი

ღვინის კი არა,

სამარხი ქვევრი

ცრემლის და თიხის ნარევით ზილეს

წინაპრებმა და...

როს დაღლილებს ეწვიათ

ძილი,

ჩაწენენ ქვევრებში...

მძიმე მიწა აღარ

ემძიმათ

და ათას წელზე უფრო მეტი

ქვევრში ეძინათ,

არქეოლოგებმა სანამ აღარ გამოაღვიძეს.

1963



* * *

ვიღაცას ესროლებს...

მზე მიუსაფარი –

ჩავიდა შავეთში მგოსნის თუ მოკრივის.

და მიწას შუბლზე –

დააჩნდა საფლავი –

კოპივით.

1957



და მერე ბგიან...

მომწყდება ცრემლი, როგორც ვარსკვლავი,
და ცა მიპყრობილ

ღია თვალებში –

ჩამეყინება შენი მზე და

შენი ბორცვები

და...

საქართველოვ!

შენ მოგიკვდები,

გაჩენის დღიდან შენზე მლოცველი.

1977



* * *

ღამის უბეში იდებს

(ვა —

მზის მეწამულ ქიტონს,
შენი ხატება კარგო,
ღელვიდან ადგა უპპა.
და ვერ ვაშორებ მზერას
ზღვის ამობურცულ —
გულმკერდს.

1964



დედა

თბილი სიჩუმე –
შენი ხმაა გაქვავებული,
სამშობლოზე ფიქრს რომ მაძალებს მე –
საღამოთი.

შენი,
ო, შენი არყოფნაა –
აქ რომ შებინდდა.
დილით,

გხე არა,
დედა!
შენი სული ამოდის,
უნდა გელოდო აწ მარადეამს –
ღამეებიდან.

1985

დილა სოფელში

კრუხე-წიწილები ფეხდაფეხ
 დასდევენ,
 დედა კი კალთაში
 ხელებს აფათურებს,
 რაც იყო მარცვალი,
 ქათმებმა მოხოცეს.
 წევს კოინდარზე და ზურგს იფხანს
 ბათურა,
 ისმის ინდაურების ხორხოცი.

1956



ჩემი მოთხევა

მუდამ მისხლტება...

მე ამ ცხოვრებას,
ხელი ვერ იქნა, ვერ ჩავავლე

სველ ლაყუჩებში.

კიდევ ცოტა და... —

შრიალებენ დღეთა

ფოთლები.

და ჩემ თბილისის ფართო ქუჩებში

წვერმოშვებული,

მშვიდად დადის ჩემი მოთმენა.

1978



ရဟနာဒေး ဖိုးကာရွေ

ရှေ့ပာဒေး ဖိုးကာရွေ...

နေ စာစွဲတွင် ဖြစ်
မေ့ချိန် မြန်မာတော် မြန်မာနိုင် မြန်မာပိုင်,
ဖြောက် မာမျှလီး စာစွဲတွင်
အမြတ် ဖြစ်
နေ စာစွဲတွင် ဖြစ်
မြန်မာတော် မြန်မာနိုင် မြန်မာပိုင်,
မြန်မာတော် မြန်မာနိုင် မြန်မာပိုင်,
အမြတ် ဖြစ်
နေ စာစွဲတွင် ဖြစ်
မြန်မာတော် မြန်မာနိုင် မြန်မာပိုင်,
မြန်မာတော် မြန်မာနိုင် မြန်မာပိုင်,
အမြတ် ဖြစ်

1966




* * *

ჭრიალებს ხერხი –

ცვივა მერქანი,
გადაჭრილ მორზე ზის სიკვდილი,
ვითარც ტყისმჭრელი
და ოვალს ადევნებს:
საკუბოე ფიცრებს ხერხავენ.

1957



მთები

„ტანთ გეფხისტყავის გაცვიათ ქურქი“
და გადმოყურებო სხვა
სიმაღლიდან,
სივრცეებს წვდება
მზერა ქართული.
ქართული სიტყვის უკვდავ ტოტზე
მეც ვარ ნამყენი.
მიწი-მოწიეთ მთებო მხრები გოლიათური
და ოქვენთან ერთად
მეც დამაყენეთ.

1975



მოსი ხმაა...

ჩემს ფიქრებს ჰგავს,
ჩემი ხობის წყალი,
ზღვისკენ მიჰქრის...
ვერ აკავებს დამბა.
რატომ მიცემს ასე ჩქარა გული? –
მისი ხმაა,
იგი მოდის, ალბათ.
სადღაც ახლოს,
მესმის თქარათქური.

1989



ლამე სასაფლაოზე

გულხელდაკრეფილ ჯვრებიდან და
ცივ ლოდებიდან
ჩუმად გამოჰყავთ დამე
ღამურებს.

ბნელში დგებიან ცაცხვები და ვერხვიანები.
მამავ!

გეძახი...

მე არ მესმის,

მაგრამ მე ვიცი,

რომ არ ყოფნიდან,

შენ სიბნელით მეხმიანები.

1965



მოყვავები

წუთები რეკენ საუკუნეებს,
და, დღეს დამე ცვლის,
ვარსკვლავებით
ცა იკემსება...
მზე დედამიწას ისე უვლის,
ვითარც უვლიდან...
უხსოვარ დროში ისევ ისე სხედან
მწყემსები
და იდერებენ ყელს –
ლამაზი სალამურიდან.



* * *

ფიქრების მაღალ ბოლში და კვამლში –
მოსხანს იმედი,
ვით ოქროს ვერძი,
რომელსაც ჩუმად ველტვი
და ველტვი,
ვით ამირანი დევებს,
დღეებს მეც ისე ვებრძვი,
სანამ,
ო,
სანამ ჩემი ბედის დამდგარა ეტლი.

1986



ციცინათელა

ბოროტ დმერთებს რომ ცეცხლი
წაჰვაროს,
ციცინათელა,
სიბნელეს
ფრთას გაკრავს
კვესივით
და ანთებს კოცონს,
დამის დაწვის აღრჩობს სურვილი;
თუმც იქვე დამდგარ
ბებერ პალმას
პირალესილი
პკიდია ტოტი ორლესულივით.

1984



მემანის გილაც

წუხილის ქვაზე ალესილ მთვარით
 გადაუთიბავს დამეს სიზმრები.
 სიჭაბუკის და მოწყენი
 ბავშვობის მიღმა
 მოისმის ხსოვნის სულმობრძავი ზარი
 და ბუკი.
 და, ამ ჭაღარას,
 მერამდენე
 წელია უპვე,
 დავიწყებიდან მექანის ვიღაც.

1974



* * *

აჲა, — მიწყნარდა ღაღადისი
შემოდამების
და უკაცრიელ სიმყუდროვეში —
დაინგრა განი —
სიმარტოვის
და სულს უხარის...
ნაავდარი და ნათავთუხარი —
ზღვა აშრიალებს...
აშრიალებს —
ბნელში განთიადს.

1975



* * *

ამაქვეყნიურ ამაოებას ცა ისევ ტირის
 შავით მოსილი,
 რომ დაამშვიდოს არ ჩანს უფალი,
 არსაით ისმის
 ჰანგი საარის.
 ამ წუთისოფლის ერთად-ერთი
 ჭირისუფალი
 ცა იყო ადრე
 ახლაც ცა არი.

1975



* * *

აღარ აღვიძებთ მოთქმა ზარების,
სიმყუდროვეში
მშვიდი ძილით სძინავთ დაღლილებს,
ხსოვნა კი ფხიზლობს...
და შესანდობარს
ელის აჩრდილი გმირთა,
მონათა.
და კლავიშებზე ცივი ლოდების
ჟამი კვლავ უკრავს დავიწყების
ფერმკრთალ სონატს.

1971



0280 სიტო

ძალ-ღონით,
ვით ხარი ნიკორა.
სიცილი,
თითქოს და ტირილი.
უძლევი...
თუმც ტანად ჩიკორი,
თვალები –
საღილე ჭრილივით.

1962



* * *

მთვარის ბილიკით ჩამოდის ციდან
ფერმკრთალი მწუხერი...
დაღამდა უკვე·
სიჩუმის მიღმა —
მნათოებების დგას
აღლუმი.
და... მე ვეხები ისე ფრთხილად
შენს მაღალ გულმკერდს,
თითქოს ველია დანაღმული.

1967



პოეზიის ქაღლურმანა

“ადესას” და “ოჯალეშის”
ნაურსა და მზეს ნაჩვევმა,
წყალს ვერ ჩაატანე გემო,
და გულიც ვერ აგიძგერა.
ის ყოფილა რადგან, ჩემო,
პოეზიის ძაღლყურძენა.

1994



ძრისტას მხედარს და მფიგნობარს

ათასი წლის მერე პონტო,
ფაზისის დიდ ბროლის ყანწით
გვლავ დალევს შენს შესანდობარს.
და... კოლხეთიც მოგიგონებს –
“ქრისტეს მხედარს”
და მწიგნობარს.

1986



სიცოცხლეეც და სიკვდილიც –
ტირიან და მღერიან,
რადგან ქვეყნად ორივე,
ვით ყოფნა და არყოფნა –
ნათლისღების
ფერია.

1973



ალექს

ხილვა: “ათი ქალწული”

ოცხე მეტი საუკუნე
მიინავლა...
მიიღია...
რაც უნთებენ მზით ჩამოქნილ
თაფლის სანთლებს,
პლავ მის სიგრძეს.
და... გჭვრებ: ათი ქალწულთაგან,
ხუთი ისევ ელის სიძეს.

1969



მეცამეტა ცის თაღი

სულ სხვა ფერით ელგარებს
მეცამეტე ცის თაღი
და შენ ერთს იქ –
 გეგულვის,
სხივთა კრთომა ფარული.
ზე – სიმაღლე მთებური
 და გონი ზენარული.

1984



შეროვნის გადაფრენა

ყივილის ცივი თოკებით –
ერთმანეთს გადაბმულები,
ათეული სდევს ათეულს
და ქარი აღარ აშინებთ.

ცა ზომავს ელვის არშინით –
სპეტაპ ღრუბლების ფართლეულს.

1979



მიყვარს სიკვდილს და სიცოცხლის

შუა გადებული თამასა,

ზედ მხტომი აზრი უცები.

რაღა ვქნა!

როგორც ლამაზმანს,

სიტყვას ვერ ვეკვებლუცები.

1991



პელ მღვიმევაში გარსკვლავია

ჰელიოსისგან ნაკურთხი

ეს მზერა –

ცეცხლის მქვესავი,

ქვეყნად ბევრს გახდის რეტიანს.

დიდო მგოსანო!

შენსავით,

ბნელ მდგიმებში ვარსკვლავთა,

არავის შეუჭვრებია.

1992



გავხადოთ სიკვდილის მოსასხამი
და ეს სამყარო ერთიანი –
სიცოცხლით შესამოსებია.
მთვარე – მამა ღმერთი არის,
გარსკვლავები – ანგელოზებია.

1987



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ	5
*** (ცას და მიწის შუა გაბმულია)	25
*** (გამოწყობილი ცისფერი ჩოხაში)	26
წიგნი „მოლოდინი“	27
*** (ბატებს ყაყანით)	28
მესხეთ-ჯავახეთში	29
კოლხეური ოქონი	30
*** (ხანჯლებს მირჭობენ)	31
სანამ	32
ზვაობდნენ წლები	33
ხორგის დამბაზე	34
*** (ჰალელუია)	35
*** (განათდა სივრცე)	36
*** (ვით ლოკოკინა დაღოდავს ხსოვნა)	37
დროს ერთი წვეთიც არ ემატება	38
ვინ იცის...	39
მოულოდნელი სიხარული	40
და ახლა მტკვარი	41
სოფელში	42
თუთები	43

არსად არა სჩანს ის ლგთაებრივი.....	44
ქართები.....	45
შენი ნათელი შემომაფინე.....	46
ვით რუქნადინი.....	47
კუმურდო	48
ორმოცი.....	49
ბროწეულის ხე.....	50
გაზაფხულის ყვავილი.....	51
მოხუცი ჟამი.....	52
ჩვენ აღარ გვჯერა.....	53
ზღვა და მთა.....	54
დამეულ გზაზე	55
ჟამი მზისა და მთვარის თვალება.....	56
გარდუკლობა.....	57
ადამიანებო იყავით ფხიზლად	58
საწყალი სული.....	59
სიყვარულით მსურს ავანთო	60
ლადო და მირზა	61
სიცოცხლის კართან	62
ორი ბორცვი.....	63
სიყვარულმა მიძმოს და მიყმოს.....	64
ციხე და ციტადელი	65
8-15 მარტი, 1983 წელი.....	66

დრო არსად მიდის.....	67
როგორც ნიბლია	68
პირიმზე	69
სიყვარულის აუქციონზე.....	70
გზა შორეული.....	71
ქართველმა ქართველს უანდერძა	72
ასეა ხვედრი.....	73
სეტყვა დამით	74
ტრიპტიქი.....	75
გაზაფხულის მთაში.....	76
9 მარტი 1956 წელი.....	77
*** (დუქმორეული პატარა ტალღა).....	78
*** (მოყვასს სამარის კარამდე).....	79
მეიმედება	80
მეოვეზეები.....	81
გაყრა	82
გაზაფხული, სამი წლის ატმის ხე.....	83
*** სიტყვას და...	84
დამის კიდეზე	85
ლაზარევ, გამოვედ გარეთ	86
მატარებლიდან	87
ახლა	88
ბმა	89

*** (ისმის ჩურჩული იების)	90
მოგონებას მივესათუთე	91
დუმან სივრცენი	92
მხოლოდ სამშობლო სხვა არაფერი	93
ის ციცქა ტოტი	94
ზღვის შავი როიალი	95
ისევ თავისუფლება	96
ღმერთო შემინდე	97
სამცხე	98
ქაფის არშია	99
ქართული მიწა	100
გათხრებისას	101
ეზმანება აღა-მაჟმად სანს	102
იქიდან	103
ოცდაექვსი მაისი	104
თარიღები	105
*** (ვერ გაიმარჯვა მტერმა ჩვენზედა)	106
ცეცხლი და თივა	107
სტიქსი	108
სული მელევა	109
მერქ, გვიან	110
*** (მზე ციო გადმოდგა თვალთმომცინარი)	111

*** (ჩემთვის ფერს კარგავს...)	112
მე მიღწევნია	113
მიძრძანე ჩემმო	114
თქვას	115
ძველი აკვანი	116
STELE	117
მამალი	118
სამყარო ათასფრად ირთვება	119
*** (ვით დარდიმანდი)	120
*** (ვით შეცდენილი უცხო ასული)	121
კატა	122
დამე უშეგულში	123
*** (ზვიირთებს ჩაკრულებს)	124
წლები ძერწავენ	125
*** (მამლის ყივილზე)	126
*** (ვით მზე დილისკენ)	127
ზღვისკარად	128
ვითარც ჩემი მოსაგონარი	129
გვიანი ზამთარი	130
მგალობელ ჩიტივით	131
*** (შავითმოსილი)	132
სინანული	133
ციცინათელა სინათლეს კვეთავს	134

ხორგის სასაფლაო	135
მოხუცი კნუტით.....	136
ურთა – აბასთუმანი.....	137
*** (მიღმა მჭმუნვარე ათასწლეულის) ...	138
*** (ქარი რომ უხმობს)	139
*** (გაკრთა სინათლე)	140
*** (ანგელოზების ცრემლით დანამულ)	141
შთამომავალი ჩემი.....	142
მადლი ღმერთს	143
*** (მიწის საშოში იქლაპნება)	144
ერთაწმინდა.....	145
მითრიდატე.....	146
მართალს დღეს მიხვდი	147
მოლად ნუ მიენდობა სოფელს.....	148
*** (მომავლისკენ მიიღტვის)	149
პასუხი.....	150
ზამთარი	151
გუმზერ და...	152
*** (ცერზე დავისვი „ჰორიზონტები“)....	153
იქმენ ნათელი	154
ალვანი.....	155
მიწისძვრა ტყეში	156

კახეთში	157
*** (ტყის დიდ ტაძარში)	158
ძილი.....	159
მეყოფა ქვეც.....	160
წიწამურთან.....	161
ანდერსენი.....	162
დამის პეიზაჟი.....	163
ისევ ისევა.....	164
*** (მტერთან კია არა...).....	165
ატმის ხე	166
ო, სულო ჩემო	167
ჭრიჭინა.....	168
ბინდისფერია სოფელი	169
ვითარცა ვარდი იერი ქონას	170
ვხედავ.....	171
მზემ სხივი	172
შემოდგომა, ინდური ხურმები	173
ჩემო ოდიშო	174
მხარი მეცვალა.....	175
მიკეპლუცობს ქუჩაში წვიმა	176
9 აპრილი, 15 ივლისი, 1989 წელი.....	177
*** (ღმერთო მიშველე!)	178
გრიგოლ ორბელიანი	179

დაჭვნა სურვილი.....	180
საღამოა წყნარი და ჩუმი.....	181
აღმოსავლიდან.....	182
ზღაპარში ვხედავ.....	183
ემახსოვრებათ.....	184
*** (მხურვალე ქვიშაზე ბუღრაობს ქარი)	185
და მაინც მტკიფა...	186
*** (როგორც ფიქრობენ).....	187
ცა სამშვილდის	188
რუსთაველი	189
ლტოლვა.....	190
ო, ღმერთო როგორ გაგითამამდი	191
*** (შორს).....	192
ისევ მოლოდინი	193
აბელი და კაენი	194
არ ჩაგთვლიმოს	195
რას იზამ, კარგო	196
ამოწვდილი ცეცხლის მახვილით	197
ქადაგი.....	198
*** (ქრისტე ეგონა).....	199
როდესაც ღმერთებს ვესაუბრები.....	200
*** (საუკუნეთა ბჟეებს გადივლის).....	201

მცხეთა	202
ყველა აქ არი.....	203
*** (ცა ტორებს სცემდა).....	204
ისევ მცხეთასთან.....	205
*** (რადგანაც ქვეყნად...)	206
აჩრდილები.....	207
*** (მზით და ლოდინით).....	208
ხავსი	209
გაზაფხულის წვიმები.....	210
ქვევრები	211
*** (ვიღაცას ესროლეს...)	212
და მერე გვიან.....	213
*** (დამის უბეჭი იდებს).....	214
დედა.....	215
დილა სოფელში	216
ჩემი მოთმენა.....	217
რეკავს ცისკარი	218
*** (ჭრიალებს ხერხი).....	219
მოები	220
მისი ხმა...	221
დამე სასაფლაოზე.....	222
მწყემსები	223
*** (ფიქრების მაღალ ბოლში)	224

ციცინათელა.....	225
მეძახის ვიღაც.....	226
*** (აპა, მიწყნარდა დაღადისი).....	227
*** (ამაქვეყნიურ ამაოებას).....	228
*** (აღარ აღვიძებთ მოთქმა ზარების) ..	229
იამო სიტო.....	230
*** (მოვარის ბილიკით).....	231
პოეზიის ძაღლყურძენა	232
ქრისტეს მხედარს და მწიგნობარს	233
*** სიცოცხლეც და სიკვდილიც	234
ხილვა: “ათი ქალწული”	235
მეცამეტე ცის თაღი	236
წეროების გადაფრენა	237
*** მიყვარს სიკვდილს და სიცოცხლის.....	238
ბნელ მღვიმეებში ვარსკვლავთა	239
*** გავხადოთ სიკვდილის მოსასხამი	240

ვაჟა ებრისელი

გოლჩური ფსალმუნები

100 ტომაზ
ტომი 58

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHISALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 58

- | | |
|---------------------|------------------------------|
| გამომცემლობის | |
| რედაქტორი | – ციშრი ბერიძე |
| მხატვარი | – სპართაკ ციცაძე |
| მხატვრული რედაქტორი | – ირაკლი უშვერიძე |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა დუმბაძე |
| კორექტორი | – დარეჯან გვალია |
| კომპიუტერული | |
| უზრუნველყოფა | – ნანა და დათო ქადაგიშვილები |

გამომცემელი – ზურაბ დოლგაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „უნივერსალი”

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკის №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com